

9 772298 093006

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ჟურნალი

მკვლევარ
გიორგი მჭედლი

პ რ ი ლ ი

ფასი 2 ლარი



1134 /2
2014



2017/ოქტომბერი

10 (264)

აჩისტოფანე
ბეჟეჟიძე

თარგმანი 1 არისტოფანე | ბაყაყები

ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა

ნიგნის ნადიმები 35 მალხაზ ხარბედია | რაბლეს ხუთნიგნეული

პროზა 43 ლუკა ბაქანიძე | ბოგილა

პოეზია 51 გიო ლომიძე

55 ნათია გიორგაძე

ხელოვნება 57 მაიკლ გორა | დიდი მწერლის ცხვირი

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ლომიძემ

გარეკანი: მამუკა ტყეშელაშვილი

პრილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია
"არილის" ყოველთვიური გამოცემა

The Literary Magazine "Arili"

რედაქტორები

მალხაზ ხარბედია
შაღიმან შამანაძე

მხატვარი მამუკა ტყეშელაშვილი

კორექტორი ინა არჩუაშვილი

კომპიუტერული უზრუნველყოფა თამაზ ჩხაიძე

პროექტის მენეჯერი ეკა ხარბედია

ხარჯდავციო საბჭო

რატი ამბლოშელი, ია ანთაძე, ანდრო ბუაჩიძე,
ლაშა ბუღაძე, თამაზ ვასაძე, გიორგი კვეკელიძე,
ზურაბ კიკნაძე, ვასილ მალლაფერიძე,
ზვიად რატანი, ჯიმშერ რეზიაშვილი,
ირაკლი სამსონაძე, გუდუნდა სიხარულიძე,
ბაკურ სულაკაური, ირმა ტყეშელიძე,
ქეთი ქანთარია, პაატა შამუგია, ზაზა ქილაძე.

პრილი - დასასვენებელი სინდინდითა

სულხან-საბა

პრილი - მზის შუში, რამაზ დამაზარი

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი

პრილი - თანამედროვე მართული ლიტერატურის
მარილი

ხალბურ

ელექტრონული ფოსტა: info@arilimag.ge
ვებგვერდი: arilimag.ge

გამოცემის 1993 წლიდან

© ყურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება
"არილის" რედაქციის ნებართვის გარეშე აკრძალულია


ყურნალი გამოცემის
საქართველოს კულტურისა და
იგლთა დაცვის სამინისტროს
ფინანსური მხარდაჭერით



არისტოფანე

ბაყაყები

ძველი ბერძნული ენიდან თარგმნა ლევან ბერძენიშვილმა
ანტიკური პოსტმოდერნიზმის ნიმუში



969359

არისტოფანეს „ბაჰაყუბი“ მისი შემოქმედების ერთ-ერთი მწვერვალია. მსოფლიო ლიტერატურის ამ შედევრში დრამატურგია პირველად გახდა თავად დრამატურგიის სამიზნე, ლიტერატურა პირველად გახდა ლიტერატურის ასახვის საგანი, პირველად შეიქმნა მეტა-ლიტერატურა, მეტა-დრამა. გასაოცარია, მაგრამ იმ თავზარდაცემი ტრაგედიად, რაც ძვ.წ. 506 წ. თავს დაატყდა მთელ საბერძნეთს, განსაკუთრებით კი ათენსა და მის თეატრს. როდესაც მიყოლებით გარდაიცვალნენ ანტიკური ტრაგედიის უკანასკნელი გიგანტები: ევრიპიდე, სოფოკლე და აგათონი, არისტოფანემ მხიარული, ელგარე, ვერადოვანი და გონებაშამახილური კომედია შეიქმნა.


„ბაყაყებში“ საკუთრივ ამბავი, როგორც ყოველთვის არისტოფანესთან, სრულიად ნარმოუდგენელი, ფანტასტიკური, გროტესკული, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ დამაჯერებელი, მარტივი და ადვილად გასაგებია: დიდი დრამატურგების გარეშე დარჩენილი თეატრის ღმერთი, დიონისე, გადანყვევს ჰადესიდან ამოიყვანოს და ათენის სცენას დაუბრუნოს რომელიმე გენიალური ტრაგიკოსი პოეტი. მისი არჩევანი ევრიპიდეზე ჩერდება, რადგან ამასწინაა, გემით მგზავრობისას სწორედ ევრიპიდეს ტრაგედია, „ანდრომედე“, ნაუპოთხავს და ვერაუ თაბეჭდილობის ქვეშა. ჰადესში მოსახვედრად მას სათანადო ინფორმაცია სჭირდება და დიდი ღმერთი კონსულტაციას იღებს დიდი გმირისაგან, ჰერაკლესაგან, რომელსაც, როგორც მოგეხსენებათ, თავისი ერთ-ერთი გმირობის ჩასადენად ჰადესში უკვე უშოგზაურია და იქიდან ექიდანა-სა და ტიფონის ნაძიერი, ჰადესის მრავალთავიანი ძალად კერბეროსიც კი ამოუყვანია.

ინყება დიონისესა და მისი მონის, ქსანთის, სასაცილო მოგზაურობა ჰადესში. ღმერთისა და მონის ამ დაუვინყარ წყელო უზარმაზარი გავლენა აქვს მოზღდენილ მსოფლიო ლიტერატურაზე. მის გარეშე არც დონ კიხოტისა და სანჩო პანსას წყელო იქნებოდა, არც დონ ჟუანისა და ლეპორელოსი, არც ფაუსტისა და მეფისტყველისა, არც ჯორჯ მელტონისა და ლენი სმოლისა. აქ ყველაფერია: ბუფონადითა და გაუთავებელი კალამბურებით დანყებული ტანსაცმლისა და როლების გაცვლით დამთავრებული. ბერძნული სულიერისა ყველაზე პირქუში პერსონაჟები და ადგილები მოულოდნელად სასაცილო და სახალისო ეპიზოდებს შემოგვითავაზებენ. მხიარულ სურათებსა და მომენტებსა.

თებს გაითამაშებენ: მიცვალებული რომელიმე
საც ბარგის ნაღებზე ვერ მოელაპარაკებია,
რადგან მეტიმეტად დიდ ანაზღაურებას მო-
ითხოვს; ქართლ, რომელიც აქერონზე გადა-
სყავანას ტრადიციული ობოლის ნაცვლად,
ათენის სოციალური ცხოვრების გავლენით,
ორ ობოლად დააფასებს; ბაყაყები, რომელთა
„სიმღერა“ ანუ გაუთავებელი ყიყინი მოსწონთ
მუზეებს; ეკოსი, რომელიც იმის გასარკვე-
ვად, თუ რომელია დღონისესა და ქსანთიას
შორის ღმერთი, ორივეს სცემს, რომ ტკივი-
ლით მათში მოკვდავ იპოვოს, მაგრამ ღმე-
რთიცა და მონაც იოლად დამალავენ ტკი-
ვილს; პერსონაჟი დღონისე, რომელიც მთელ
ორქესტრას გადაჭრის და თეატრის პირველ
რიგში მჯდომ ნამდვილი დღონისეს ნამდვილ
ქურუმს მიჰარდებს, მიშველიო და ა.შ.

არისტოფანემ დრამატურგიის ოქროს მასალად აქცია ესქილესა და ევრიპიდეს ტექსტები. დრამატურგები ერთმანეთს ტყვიანვით ახლენ ციტატებს საკუთარი და მონიხა-ღმდეგის ტრაგედიებიდან, შედარებების, მეტაფორებისა და ჰიპერბოლების ამ ლიტერატურულ კარნავალში, სიტყვიერების ამ ფიქტივურკომი ღმერთი დიონისე, ზოლოსა და ბოლოს, გაერვეკვა და დედამინაზე დასაბრუნებლად ევრიპიდეს ნაცვლად ესქილეს აირჩევს. როდესაც ევრიპიდე განაწყენდება, თეატრის ღმერთი მას საკუთარი ზერხით განაიარაღებს, დრამატიკურს „დაახრწობს“ ციტატებით ევრიპიდიდან.

გი წარმატებით



მოქმედნი პირნი

ქსანთია, მონა
დიონისე, თეატრის ღმერთი
პერაკლე
ცხედარი
ქარონი
ბაყაყების გუნდი
ზიარებულთა გუნდი
ეაკოსი
პერსეფონეს მოახლე
ორი მეფუნდუკე ქალი
პლუტონის მსახური
ეგრიპიდე
ესქილე
პლუტონი

პროლოგი

ორქესტრის სიღრმეში ორი სახლია: მარჯვნივ — პერაკლესი, მარცხნივ კი — პლუტონისა. მარჯვენა პაროდოსიდან შემოდიან დიონისე და მისი მონა ქსანთია. დიონისეს ფეხზე კოთურნი აცვია, ზოლო ტანზე — ქალის მეჩამული ქიტონი, რომელზეც ლომის ტყავია გადაკრული; ხელში კომბალი უჭირავს. ბუტაფორიულ ვირზე შემჯდარი ქსანთია ვეება ფუთას მოათრევს.

ქსანთია
არ გინდა, ბატონო, ისეთი ხუმრობა,
რაზეც იცინიან სულ მაყურებლები?

დიონისე
მიტბარი, თუ გინდა, ოლონდ „ვიცყლიტები“
ხულარ ნამოცდებდა, ყელში ამოვიდა.

ქსანთია
5 უფრო მოსწრებული?

დიონისე
არ თქვა: „მეშხიმება“.

ქსანთია
უფრო სასაცილო?

დიონისე
ღმერთმანი, რაც გინდა,
მიტხარი თამამად. ის არ თქვა...

ქსანთია
რა არ ვთქვა?

დიონისე
რომ ფუთის ტარებით ნამდვილად ჩაისვრი.

ქსანთია
არც ეს: „ამოღენა ტვირთი რომ ამკიდეთ,
10 თუ არ მომაცილებთ, ქარებს გამოვუშვებ?“

ერეკლე

გეგლიშვილი

დიონისე

ო, მეტი აღარ თქვა, თორემ ვალეზინებ.

ქსანთია

მაშ, რა საჭიროა, ეს ფუთა ვათრიო, თუ კრინტსაც ვერ დაეძრავ? ფრინიქე, ლიკისი, ანდა ამიფსია ასე არ შვრებიან?

15 მონები მაგათთან სულ ტვირთს ატარებენ.

დიონისე

შენ ნუ გააკეთებ!" თეატრში რომ ვზივარ, ამდაგვარ „სიბრძნეებს" როგორც დავინახავ, მაშინვე ერთი წლის სიცოცხლე მაკლდება.

ქსანთია

20 სამგზის უბედური ყოფილა კისერი: გაიჭყლიტება და ვეღარც გაიხუმრებს.

დიონისე

განა თავხედობა არ არის, მითხარით, რომ მე, დიონისე, ძე სტამნოისისა, ქვეითად ვირჯები, ეს — ვირზე შემოვსვი, რომ არ დაიღალოს, სიმძიმე არ ზიდოს?!

ქსანთია

25 როგორ, მე არ ვზიდავ?

დიონისე

შენ ვირზე ხომ ზიხარ!

ქსანთია

ვზივარ, ვეზიდები.

დიონისე

როგორ?

ქსანთია

უმძიმესად.

დიონისე

შენც და მაგ ფუთასაც ვირი არ გატარებთ?

ქსანთია

ზურგზე ხომ მკიდია? ჰოდა, მე ვატარებ!

დიონისე

შენ როგორც ატარებ, ისე ვატარებენ.

ქსანთია

30 არ ცივი, ეს მხარი კი ჩამომივარდა.

დიონისე

თუკი სახედრისგან არ გაქვს სარგებლობა, მაშინ შეიცვალეთ: ვირი შენ ატარე.

ქსანთია

ვაი მე უბედურს! ზღვაზე რომ მეგრძოლა, ხომ იქვითინებდი, მარტო დარჩენილი!

დიონისე

35 ჩამოდი ვირიდან, არაფრის მაქნისო! უკვე იმ კართან ვართ, რომელსაც პირველად უნდა მივაკითხოთ.

(აკაკუნებს)

ბიჭო, ბიჭო-მეთქ!

შერაკლე

(კარს უკან)

კარს ვინ უზრავუნებს? ეს რა კენჭავრული ბრახუნი ატეხეს!

(კარს ალბებს)

რა გინდა, მითხარ!

დიონისე (ხმადაბლა, ქსანთიას)

40 ბიჭო!

ქსანთია

რა?

დიონისე

თუ ნახე?

ქსანთია

რა უნდა მენახა?

დიონისე

როგორ შეეშინდა.

ქსანთია

ეს კაცი გადამრევს!

შერაკლე

(ხარხარებს)

ხა! ვფიცავ დემეტრეს, სიცილს ვერ ვიკავებ! ტუჩი დავიკბინე, მაინც მეცივნება!

დიონისე

აჰ მოდი, საბრალოვ, რაღაცა მჭირდება.

შერაკლე

45 სიცილს ვერ ვიკავებ, დიაცის მენამულ ამ ქიტონს რომ ვხედავ, ლომის

ტყავგადაკრულს.

ეს ვინ ქცვიანია? კოთურნი კომბალთან? გზა საით გიჭირავს?

დიონისე

მე რომ კლისთენესთან..

შერაკლე

რა, ზღვაზე იბრძოდი?

დიონისე

50 ხო, მტრის ზომალდებიც ჩავძირეთ ათი თუ თორმეტი, არ მახსოვს.

შერაკლე

ორმა?

- დ ი ო ნ ი ს ე
გეფიცები!
- ქ ს ა ნ თ ი ა
... აქ გამომვლიდა.
- დ ი ო ნ ი ს ე
და იქ წავიკითხე, გემზე, „ანდრომდე“:
როგორც გავასრულე, უმაღლესი სიყვარულმა
ვეუბამ, ძლიერმა შემოიძრა ეს გული.
- 55 პ ე რ ა კ ლ ე
მანაც რამოდენამ?
- დ ი ო ნ ი ს ე
მოლონისოდენამ.
- პ ე რ ა კ ლ ე
ქალია?
- დ ი ო ნ ი ს ე
ოჰ, არა.
- პ ე რ ა კ ლ ე
ბიჭი?
- დ ი ო ნ ი ს ე
არა-მეთქი!
- პ ე რ ა კ ლ ე
მამ, კაცი?
- დ ი ო ნ ი ს ე
აჰაჰა!
- პ ე რ ა კ ლ ე
ეჰ! იქნებ კლისთენე?
- დ ი ო ნ ი ს ე
იმაო, ნუ დამცინი, სამინელ დღეში ვარ;
ოჰ, ეს სურვილია, რომ მტანჯავს სასტიკად.
- 60 პ ე რ ა კ ლ ე
რომელი, ძამიკო?
- დ ი ო ნ ი ს ე
არ ძალმიძს გამოთქმა;
მაგრამ, რომ განვიგო, გეტყვი ქარაგმულად:
შენ ფაფა ოდესმე თუ მოგნატრებია?
- პ ე რ ა კ ლ ე
ფაფაო? ოხ! ოხ! ოხ! კი! ათათასჯერ!
- დ ი ო ნ ი ს ე
ნათლად აგისხენი, თუ „სხეც ვთქვა რაიმე“?
- პ ე რ ა კ ლ ე
ფაფაზე? არ მინდა. მშვენივრად მიგისხედი.
- 65 დ ი ო ნ ი ს ე
ჰოდა, მეც ასეთი ნატვრა და სურვილი
მკლავს ევრიბიდეხი.
- პ ე რ ა კ ლ ე
და ის რომ მკვდარია?
- დ ი ო ნ ი ს ე
ვერ გადამარწმუნებს ცაცთავან ვერავინ:
მე მასთან მივდივარ.
- პ ე რ ა კ ლ ე
ჰადესის სიღრმეში?
- დ ი ო ნ ი ს ე
70 ღმერთმანი, თუნდ უფრო ღრმად იყოს,
მივაგნებ.
- პ ე რ ა კ ლ ე
რად გინდა?
- დ ი ო ნ ი ს ე
მჭირდება ნამდვილი პოეტი.
„ძველები არ დარწმუნებ; ვინც დარწა, არ ვარგა“.
- პ ე რ ა კ ლ ე
რაო, იოფონტი არ დარწა?
- დ ი ო ნ ი ს ე
ეგ ერთი
75 თუ დამრჩა ვარგისი... ისიც წვეჭება,
ვერ კარგად არც ვიცი, როგორი იქნება.
- პ ე რ ა კ ლ ე
კაცო, ევრიბიდეხს სოფოკლე არ ხვლობდა?
იბას შიაკითხე, თუ იქით მიდიხარ.
- დ ი ო ნ ი ს ე
არა, იოფონტი უნდა შევამოწმო,
80 სოფოკლეს გარეშე რისი მაქნისია.
თანაც ევრიბიდეხ თალღილი კაცია,
ემიშობ, შეეცდება იქიდან გაქცევას.
აქ წყნარ სოფოკლეს კი იქ რაღა შეცვლიდა?
- პ ე რ ა კ ლ ე
ხოლო აბათონი?
- დ ი ო ნ ი ს ე
ის ჩვენგან წავიდა —
კარგი პოეტი და ტკბილი მგვობარი.
- პ ე რ ა კ ლ ე
85 სადაა ხანყალი?
- დ ი ო ნ ი ს ე
ნეტართა ნადიმზე.
- პ ე რ ა კ ლ ე
ქსენოკლე?
- დ ი ო ნ ი ს ე
ზეცეს ვფიცავ, ჯანდაბას ნასულია!

პერაკლე
აბა პითანგელე?

ქსანთია

ჩემზე კი კრინტიკ არ
დაძრულა, მხარი კი ჩამომწყდა მთლიანად.

90 პერაკლე
და სხვებიც ხომ დარჩნენ, ისეთი ბიჭები,
ასობით რომ ქმნიან, ხოლო ყბედობაში
თვით ევრიპიდეცაც ტოლს არ დაუდებენ?

95 დიონისე
ყბედები არიან მართლაც და მთხლელები!
სწორედ ეგ მერცხლები კლავენ ხელოვნებას, —
გულნდს რომ მიიღებენ და ტრაგედიასთან
ლაშქს გაათევენ, მაშინვე კვდებიან.
ნიჭიერ პოეტს კი, რომ დიკირიალოს
ერთი ვაჟკაცურად, ვედარსად იპოვი.

პერაკლე
როგორ თუ ნიჭიერს?

100 დიონისე
ისეთს, რომ იტყოდეს
ასე გამბედავად, თამამად: „ეთერი —
ზევსის კარმიდამო“, ან „ფერხი ჭამისა“,
ან „სულს არ უნდოდა ზვარაკთან შეფიცვა,
ენამ კი დაასწრო და ცრუდ დაიფიცა“.

პერაკლე
შენ მოგწონს ესენი?

დიონისე
მოწონსო? — ვგიჟდები!

პერაკლე
ეს ხომ სიცრუეა, თვითონაც ხომ ხვდები!

105 დიონისე
ჩემს ტვინში ნუ ძვრები, სახლში დაეტყე!

პერაკლე
მე კი, სულ უბრალოდ, შტერული მეგონა.

დიონისე
ჰო, ჭამაც მასწავლე!

ქსანთია
(თავისთვის, პოლმით)
ჩემზე — არაფერი!

110 დიონისე
ამიტომ მოვედი შენებრ გადაცემული,
შენ გზაძავ... მინდა, რომ შენც დამისახელო
შენი მეგობრები, მაშინ კერბეროსთან
ვინაც მიგიყვანა, — იქნებ მეც დამჭირდნენ.
მაშ, ჩამომითვალე ნავსადგურები და
გზები, ქალაქები, საროსკიპოები,
დუქნები, რუები, სასტუმრო, რომელშიც
115 ბალღინჯო არ იცის.

ქსანთია
(თავისთვის)
ჩემზე — არაფერი.

პერაკლე
და შენ, უბედურო, იქ ჩასვლას გაბედავ?

დიონისე
შევწყვიტოთ ამაზე. შენ მე გზა მითხარი,
რომელითაც მივალწვე ჰადესის სიღრმეებს;
ოღონდ ნუ იქნება ნურც ცხელი, ნურც ცივი.

პერაკლე
ახლავე... რომელი გზა გითხრა პირველად?
ჰო... არის ერთი გზა: სკამით და კანაფით.
ჩამოეცედიები.

დიონისე
ცხელია, მზუთავი!

პერაკლე
არის სხვა ბილიკიც. ის უფრო მოკლეა.
ფილთაქვა სჭირდება.

დიონისე
რაა? საწამლაღი?

125 პერაკლე
მიმიხედი.

დიონისე
ცივია ეგ ზამთრის სუსხივით,
სულ გამეყინება იმნუთას მუხლები.

პერაკლე
მაშ, გინდა, სწრაფი და დამრეცი გზა გითხრა?

დიონისე
მინდა. სიარულში ვერ ვარ გამოცდილი.

პერაკლე
მაშ, კერამიკოსზე აბობლდი.

დიონისე
და შემდეგ?

130 პერაკლე
მაღალი კოშკია, აძვერი.

დიონისე
და რა ვქნა?

პერაკლე
იქიდან ჩირაღდნით მორბენლებს უყურე
და მაყურებლები რომ დაიძახებენ
„გაეშვი“, თვითონაც „დაეშვი“.

დიონისე
სად?

პერაკლე
ქვემოთ.

დონისე
შენ გინდა, რომ ტყეში დავასხა მინაზე?
35 მე მაგ ტყეში არ ნავალ.

პერაკლე
რომელ გზას დავძებ?

დონისე
რითაც შენ ჩახვედი.

პერაკლე
ცურვა რომ მოგიხდეს?
რომ ჩახვალ, პირდაპირ დიდ ტბას მიაღვებო,
უძიროს.

დონისე
და იგი როგორ გადავცურო?

პერაკლე
ტბაზე გადავიყვანს მოხუცი წინიჩბე
პატარა კანჯოთი. ორ ობოლს მოითხოვს.

დონისე
რა ძალა ჰქონია ორ ობოლს პადესშიც!
იქვინ შემოიღო?

პერაკლე
ვინა და თეზესმა.
შემდეგ გველებსა და საშინელ ურჩხულებს
ნახავ.

დონისე
ნუ მაშინებ, უკან არ დავიხებ!
145 არ გამოგბრუნებ!

პერაკლე
დაგხვედება მარადი
სკორე და ტალახი; იმაში აგდია,
ვინც კი უსამართლოდ მოექცა სტუმარს ან
ბოქს შეატყობს, ფული კი არ მისცა;
ან დედა მიზეზვა, ან ყბა მოუნგრია
150 მამას; ან ცრუ ფიცით ურცხვად დაიფიცა.

დონისე
ღმერთებს გეფიცები, უნდა მიუწვინონ,
ვინაც კინსიას ასწავლა პირიქე
ან ამოიწერა რამე მორსიმედან.

პერაკლე
მერმე დავიბერავს სიო ფლეიტათა,
155 იქაც დაინახე აქაურ სინათლეს,
მეორისის ქალაქებს, კაცთა და დიაცთა
ბედნიერ მსვლელობას, ტაშსა და სიხარულს.

დონისე
და ვინ იქნებიან?

პერაკლე
ზიარებულები.

ქსანთია
(თავისთვის)
ვირევით არა გარ ამ ზიარებაზე?
160 აღარ შემძლია, ამას ჩამოვიღებ.

ფუთას მიწაზე დებს.

პერაკლე
რაც კი დაგჭირდება, იმათგან გაიგებ,
რადგანაც სწორედ იმ ადგილზე გაივლის
ის გზა, რომლითაც შენ პლუტონს მიაღვები.
აბა, გაიხარე, ძმაო!

დონისე
შენც ჯანმრთელად
165 შენახე ყოველთვის.
(ქსანთიას)
აიღე ლეიბი!

ქსანთია
ახლა ჩამოვიღე.

დონისე
აიღე სასწრაფოდ!

ქსანთია
არა, გვედრები, ვინმე ვიქირავოთ
მკვდართაგან, თუ შეგვხვდა იქით მიმავალი.

დონისე
თუკი ვერ ვიპოვეთ?

ქსანთია
მე ვზიდავ.

დონისე
სწორია.
შენედე, ვილაცებს არ მიაქვთ ცხედარი?
(ქსანთიას)
ვერ ნამოგვიღებდი ამ ტყერთს პადესამდე?

ორქესტრაზე შემოდის სამგლოვიარო
პროცესია.

ცხედარი
ღიღია?

დონისე
(ფუთას აწვევებს)
ესაა.

ცხედარი
ორ დრამად წავიღებ.

დონისე
ცოტა დაუკელი!

ცხედარი
(თავის მესაფლავეებს)
აბა, გზას გავუდგეთ!

დიონისე
175 მოიცა, შეკაცო, შევთანხმდეთ რამეზე!

ცხედარი
ორ დრაქმას არ მამლევე? — არც ღირს
ლაპარაკი.

დიონისე
ცხრაობოლს...

ცხედარი
გავცოცხლდე, თუკი დაგეთანხმო!

ქსანთია
ეაჰ! ეს დაწვევლილი თავსაც რომ იფასებს!
თვითონ წამოვიღებ.

მესაფლავებები გაასვენებენ ცხედარს.

დიონისე
კაციც შენ ყოფილხარ!
180 მივიდეთ კანჯოსთან.

(ორქესტრაზე გამოჩნდება ქარონის კანჯო).

ქარონი
ნაპირს მიაყენე!

ქსანთია
ეს რაა?
დიონისე
რა? ესა? — ტბა არის, ღმერთმანი;
ისაა, რომ გვიოხრეს, კანჯოსაც ხომ ხედავ?

ქსანთია
ვფიცავ პოსიდიონს, თვითონ ქარონია!

დიონისე
ქარონ, გამარჯობა! ქარონ, გამარჯობა!

ქარონი
185 ვის სურს დასვენება ტანჯვა-სიავისგან?
ვის უნდა ღეტესთნ, „ვირის ბენეფილთან“,
კერბერიელებთან ანდა ჯანდაბასთან?

დიონისე
მე.

ქარონი
სწრაფად ჩამოდი!

დიონისე
მერმე, სად მიმიყვან?
მართლა ჯანდაბაში?

ქარონი
მხოლოდ შენ ნავიყვან,
190 ჩამოდი!

დიონისე
შენ, ბიჭო!

ქარონი
მონა არ გადაწყავს,
თავისი ტყავისთვის თუ არ უბრძოლია.

ქსანთია
ზევს ვფიცავ, მე არა, თვალეები მტკიოდა.

ქარონი
მაშ, ახლა მოგიწევს ტბისთვის შემორბენა.

ქსანთია
თქვენ სად დაგელოდო?

ქარონი
კაეშნის ლოდებთან.
195 იქ ნავსადგურია.

დიონისე
გაიგე?

ქსანთია
(სიმწრით)
მშვენივრად!
ნეტავი ვინ შემხვდა, ასე ვინ დამოარსა?
(გადის).

ქარონი
ნიჩბებს მიუფექი. იქ ქაროს, ვინც მოდის!
შენ, კაცო, რას შვრები?

დიონისე
რას ვშვრები? — არაფერს!
ნიჩბს მიუფექი, როგორც შენ მიბრძანე.

ქარონი
200 აქ, შე ღორმუცელავ, აქ დავე!

დიონისე
დავფექი.

ქარონი
ხელები ჩააღელე ნიჩბებს!

დიონისე
ჰო, ჩავავლე.

ქარონი
კაცო, ნუ სულელობ! აბა, გულმოდგინედ
მოუსვი მაგ ნიჩბებს.

დიონისე
და როგორ შევიძლო
მე, გამოუცდელმა, არაზღვაოსანმა,
205 არც სალამინელმა?

ქარონი
იოლად შეიძლება.
მოუსვამ — სიმღერას მოუსმენ.

დიონისე

ეს ვისას?

ქარონი

ბაყაყე-გედების, საოცარს!

დიონისე

მიბრძანე.

ქარონი

ოოპოპ, ოოპოპ!

კანკო კვეთს ორქვსტრას. სცენის მიღმა
ისმის ბაყაყების სიმღერა. დიონისე სიმღერის
ტაქტში უსვამს ნიშბებს.

ბაყაყები

210 ბრეკეკეკეკე, კოაქს, კოაქს!

ბრეკეკეკეკე, კოაქს, კოაქს!

ჯაობის წყლის შვილებმა

აღგავლინოთ შიშნები;

ავაჟღეროთ ტკბილხნიანი

სიმღერა:

215 კოაქს, კოაქს!

და ნისეულ ღვთებებს,

დიონისეს, ზევსის ძეს,

ვუგალობოთ ჭაობში.

ქოთნის დღესასწაულზე

გამომთვრალი ხალხის ჯგუფი

ჩემს სანახებს ერთიანად მოადგა.

220 ბრეკეკეკეკე, კოაქს, კოაქს!

დიონისე

მე კი ტრაკი დამბეუჭა

და ამტკიცდა, კოაქს, კოაქს!

ბაყაყები

ბრეკეკეკეკე, კოაქს, კოაქს!

დიონისე

არაფერი არ გადარდებთ!

ბაყაყები

225 ბრეკეკეკეკე, კოაქს, კოაქს!

დიონისე

დაიღუპეთ მაგ კოაქსით!

თვითონაც სულ კოაქსი ხართ!

ბაყაყები

დაიღუპე, არამკითხე!

230 მე უყუარვარ ტკბილლირიან მუზებსაც და

თავად პანსაც, საღამურით რომ ერთობა.

ფორმინქსიან აპოლონსაც ეფონება

წყალში ჩაზრდილ

ჩემი სტიკირის ხმინება.

235 ბრეკეკეკეკე, კოაქს, კოაქს!

დიონისე

მთელი ტანი დამიწვლულდა,

მთელი ტრაკი ოფლში ცურავს;

დავისრები ხმას გამოსცემს...

ბაყაყები

ბრეკეკეკეკე, კოაქს, კოაქს!

დიონისე

240 მომღერალთა მოდგმო,

მორჩი!

ბაყაყები

არა, ვიმღერებ

უკეთესად: ჩვენ მზეკეთილ

დღეებში სულ ასე გზტებით

შრომნიდან ღერწამზე და

ჩვეთვის ვხარობთ სიმღერით.

245 წყალში ყვინთვა გვიცვარს ძლიერ;

როცა ზევსი თავსხმას გვივლენს,

წყლის სიღრმეებს მივაკითხავთ,

ჭაობს ავახშაურებთ და

წყალში ბუშტებს გაგაჩენთ.

დიონისე

ბრეკეკეკეკე, კოაქს, კოაქს!

(ჰაერს აფუჭებს)

თქვენგან ამას თუ ვისწავლი.

ბაყაყები

მეტისმეტი არის უკე!

დიონისე

255 ჩემთვის არის მეტისმეტი,

ნიშბის მოსმით გაგსკდები!

ბაყაყები

ბრეკეკეკეკე, კოაქს, კოაქს!

დიონისე

იყიყინეთ, არ მადარდებს!

ბაყაყები

აბა, მართლა ვიყიყინოთ,

ჩავიწყვიტოთ ხმები სულაც,

260 არ გაგზერდეთ მთელი დღე!

დიონისე

ბრეკეკეკეკე, კოაქს, კოაქს!

ამით ვეღარ დამამარცხებთ.

ბაყაყები

მენც ვერაფერს ვერ დავაკლებ.

დიონისე

თქვენც ვერ მიყოფთ ვერაფერს!

ვერასოდეს! სულ ვიბღავებ!

265 ვიღობაღვებ მთელი დღე,

სანამ ხმით არ გადაფარავ თქვენს კოაქს.

ბრეკეკეკეკე, კოაქს, კოაქს.

ვიცოდი, მაგ კოაქსს რომ მეგანყვეტინებდით.

ქ ა რ ო ნ ი
შეწყვიტე. დაწყვე ნიშები. გადადი.
270 ფული!

დ ი ო ნ ი ს ე
გამომართვი ეს ორი ობოლი.
სადლაა ქსანთია? შენ, ბიჭო, ქსანთია!

ქ ს ა ნ თ ი ა
აუუ!

დ ი ო ნ ი ს ე
აქ მოდი!

ქ ს ა ნ თ ი ა
სალამი, ბატონო!

დ ი ო ნ ი ს ე
იქ რაა?

ქ ს ა ნ თ ი ა
წყვდიადი გახლავს და ტალახი.

დ ი ო ნ ი ს ე
ვინმე მამისმკვლეელი თუ ნახე ან კიდეც
275 ცრუ ფიცის მიმცემი, რომ გციოხრა?

ქ ს ა ნ თ ი ა
შენ არა?

დ ი ო ნ ი ს ე
(დარბაზს უყურებს)
მე ახლაც კი ვხედავ, ვფიცავ პოსეიდონს.
რა უნდა ვიღონოთ?

ქ ს ა ნ თ ი ა
ნინ უნდა ვიაროთ.
აქ უნდა შემოგვხედნენ უკვე ურჩხულები,
მან რომ აგვინერა.

დ ი ო ნ ი ს ე
ვანანებ იმ თავებდს!
280 ტყუოდა ყველაფერს ჩვენს დასაშინებლად,
ჩემი ვაჟკაცობის შეშურდა ნამდვილად.
აბა, შერაკლევტ ტრაბახა ვინაა?!
მე კი ვისურვებდი, მოგზაურობაში
რამე ფატიერაკი რომ გადაგვხდომოდა.

ქ ს ა ნ თ ი ა
285 ღმერთმანი, რაღაცა ხმაური მომესმა.

დ ი ო ნ ი ს ე
საიდან?

ქ ს ა ნ თ ი ა
უკნიდან.

დ ი ო ნ ი ს ე
მაშ, უკან იარე.

ქ ს ა ნ თ ი ა
მე მგონი, ნინიდან.

დ ი ო ნ ი ს ე
აბა, წინ იარე!

ქ ს ა ნ თ ი ა
ღმერთმანი, გეება ურჩხული გამოჩნდა!

დ ი ო ნ ი ს ე
როგორი?

ქ ს ა ნ თ ი ა
სასტიკი! სახესაც რომ იცვლის!
290 ხარია! ჯორია! ახლა კი ქალია,
ნორჩი და ლამაზი.

დ ი ო ნ ი ს ე
სად არის? მივირბენ!

ქ ს ა ნ თ ი ა
ქალი აღარაა, უკვე ქოფაკია.

დ ი ო ნ ი ს ე
ემპუსა ყოფილა!

ქ ს ა ნ თ ი ა
ჰო, სახე სულ ცვცხლით
უელავს.

დ ი ო ნ ი ს ე
და ფეხი? სპილენძის ფეხი აქვს?

ქ ს ა ნ თ ი ა
295 ერთი სპილენძის და მეორე ფუნისა,
იცოდე.

დ ი ო ნ ი ს ე
ვაშ, საით წავიდე?

ქ ს ა ნ თ ი ა
მე საით?

დ ი ო ნ ი ს ე
მიხსენი, ქურუმო, თუ გინდა ქეიფი!

ქ ს ა ნ თ ი ა
ვაი, დავიღუპეთ, შერაკლე!

დ ი ო ნ ი ს ე
რას ყვირი?!
კაცო, გვევდრები, ნუ მიხმობ მაგ სახელს!

ქ ს ა ნ თ ი ა
300 მაშინ — დიონისე.

დ ი ო ნ ი ს ე
ეგ უარესია!

ქ ს ა ნ თ ი ა
ნამოდი, აქეთკენ ნამოდი, ბატონო!

დიონისე
რამხდა?

ქსანთია
დასრულდა უკვე ყველაფერი:
შეგელოქსავით თქმა ჩვენი შეგვიძლია:
„ტალღები დაცხრა და ზღვა ისევ დამტკნარდა“.

305 გაქრა ის ემპუსა.

დიონისე
ფიცია!

ქსანთია
გაფიცები!

დიონისე
კიდევ დაიფიცე!

ქსანთია
ფიციავე!

დიონისე
კვლავ!

ქსანთია
ზევს ფიციავე!

დიონისე
ო, როგორ გაფითორდი, ის რომ დავინახე!

ქსანთია
ეგ კი შიშისაგან სულ გაგნითლება.

დიონისე
სიდან დამეცა ეს უბედურება?

310 რომელი ღვთაება მღუპავდა?

ქსანთია
„ეთერი —
ზევის კარმიდამო“ თუ „ფერხი ჟამისა“?
შენ!

დიონისე
რა?

ქსანთია
არ გესმის?

დიონისე
რა უნდა მესმოდეს?

ქსანთია
ფლეიტის ხმა ისმის.

დიონისე
მეც მესმის! ჩირალდნის
რალაც იდუმალმა სუნმაც მოაღწია!

315 აბა, დავიმართო და ყური დავუგდოთ.

ზიარებულია გუნდი
იაქქოს! იაქქოს!
იაქქოს! იაქქოს!

ქსანთია
ესენი არიან ზიარებულები,
პერაკლემ რომ გვითხრა, ბატონო. მღერიან
320 „იაქქოს, იაქქოს“, როგორც აგორაზე.

დიონისე
მეც ასე მგონია; მაინც უკეთესი
იქნება დამალვა: გავიგებთ ყველაფერს.

იმალეობიან.

პაროდოსი

სცენაზე შემოდის თეთრებში გამოწყობილი
მისტერიებს ზიარებულთა გუნდი.

პირველი ნახევარ გუნდი
სტრ მრავალპატივდებულს, ამ ტაძარში განისვენებ,

325 იაქქოს, იაქქოს;
მოდო ჩვენთან, ჩვენს მინდვრებში საცეკვაოდ,
მოდო ზიარებულებთან.
აყვავებულ მვირსინისგან
დანსულ გვირგვინს დაიმშვენებ

330 და თამამად ჩაებმები ფერსულში,
გაუძღვები ჩვენს ცეცხლოვან
და მხიარულ როკვას, ღმერთო!

335 ჯარიტებით საცე როკვას გაუძღვები,
ზიარებულთა გაუძღვები, მეუფე!

ქსანთია
წმინდა დედოფალო, დემეტრეს ასულო!
რა დამატკბობელი სუნია ხორცისა!

დიონისე
წმინდად ვერ იქნები? თუ სუნით გაძღვები?

მეორე ნახევარ გუნდი
340 ანტ გაიღვიძე! ლამაზი უპყრია და ისე მოდის,
იაქქოს, იაქქოს,
ის, ვარსკვლავი ღამეული ზემების.
მთელი ველი ცეცხლით ბრწყინავს.

345 ბებრებს მუხლი უთამაშებთ;
სევდას გადაიყრია და
დაუნდობელ მსვლელობასაც წელინადთა —

350 ამ ზეიმის გულისათვის.
ჩირალდნები წამოიღეს! მოიყვანე
გუნდისათვის ჭაბუკები,
მიაღვიძეთ აყვავებულ წმინდა მინდორს!

კორიფეოსი
ჩვენ მონიებით უნდა დავდუმდეთ. ჩვენი
გუნდი კი დატოვოს ყველამ,

355 ვისთვისაც წმინდა სიტყვა უცბოა, ვისაც
სინდისი სუფთა არა აქვს;
ვისაც მუხათა წმინდა ორგია არ უნახავს და
არ უცეკვია,
არც ხარისმჭამელ კრატინეს ნამდვილ
ბაკქოსურ ენას ზიარებია;

- ვისაც მდარე და არამახვილი ან უადგილო
ხუმრობა მოსწონს;
ვინაც არ აცხრობს ამბოხებებს და
სიმშვიდისათვის არ ზრუნავს ვინაც,
360 შეუნელებლად ცეცხლს რომ აღვივებს და
საკუთარი თავის ფიქრი აქვს;
ვინც გაჭირვებულ ქალაქს მართავს და
ვერანაირად ვერ ძლება ქრთამით;
ვინც მტრებს გადასცემს საგუშაგოებს ან
ვინაიდან ხელუხლებელი
მარაგი გააქვს, როგორც აკეთებს ვინმე
ახალი თორი კოინი;
ეპიდავროსში ვინაც აგზავნის აფრებს, ფისსა
და ტყავის ღვედებსაც;
365 ვინც სხვას არწმუნებს, მტერს ფული მივცემთ,
რომ ზომალდები აიშენოსო;
ვინაც პეკატეს უსკრის ხატებს და თან
საფერხლო სიმღერას მღერის;
ვინაც რიტორი არის და ფიქრობს, რომ
ლუკმაპური ნაართვას პოეტს, —
თუ დიონისეს დღესასწაულზე გაათამაშებს
კომედიაში;
ამათ ვუბრძანებ, კიდევ ვუბრძანებ და
მესამედაც ვუბრძანებ ამათ,
370 გაეთრიონ და ზიარებულთა გუნდი დატოვონ
დაუყოვნებლოვ.
გამოაცოცხლეთ თქვენი სიმღერა, როგორც
ამ ზეიმის შეეფერება.

- გ უ ნ დ ი
აბა, ყველამ გულმკერდზე
აყვავებულ ველზე
აბაკუნეთ ფეხები!
იღინეთ და
375 ითამაშეთ, იხუმრეთ!
საკმარისად ვისადილეთ!
იარეთ და უმღერეთ
ჩვენს მხსნელსა და გადამრჩენს!
დაიფარავს ქალღმერთი
380 სამუდამოდ
ჩვენს სამშობლოს, თუნდაც ეს
თორიკოონს არ სურდეს.
- კ ო რ ი ფ ე ო ს ი
აბა, სხვა ჰიმნიც მოგვასმენინეთ,
ნაყოფისმომტან ქალღმერთისადმი —
დემეტრესადმი მიძღვნილი ჰიმნი. აბა,
კაცურად, აბა, მთელი ხმით!

- პ ი რ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი
სტრ დემეტრე, წმინდა ორგაის
385 დედოფლო, მოდი და
შენივე გუნდი იხსენი!
დაუსრულებლად მთელი დღე
მათამაშე და მაცეცე!

- მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი
ანტხან გამაცინე, ქალღმერთო,
390 ხან ჩამაფიქრე ნამდვილად.
თუ ღირსეულად ნავმართავ

შენს დღესასწაულს, უკვდელ
შემაძვე ძღვევის გვირგვინი!

კ ო რ ი ფ ე ო ს ი
თამამად!

- 395 ახლა კი ყმანვილ უფალსაც სიმღერით უხები
ჩვენაჲს
რომ მოვიდეს და გაუძღვეს ჩვენს საზემო
ცნებას

- პ ი რ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი
სტრ ო, იაკქოს, მრავალპატივდებულო,
ო, უტკბესო, მიგვიყვანე ქალღმერთთან
400 და გვაჩვენე.
რომ იოლად, უდრტივებლად
გაასრულებ ამ დიდ გზას;
ღმერთო ცეკვისმოყვარე, გამიძეხი!

- მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი
ანტმოძიონევ და მოყვარულო სიცილის!
შენ დაფლითე სანდლები და ძონძები
405 და გვასწავლე
მზიარულად, დაუსჯელად
ჩამოვლა და თამაში;
ღმერთო ცეკვისმოყვარე, გამიძეხი!

- გ უ ნ დ ი
მხოლოდ ახლა გავიხედე გვერდით და
410 შევაშრნიე ტურფა სახის გოგონა,
„სამეგობრო“.
დახეული ქიტონიდან
წყვილი კერტი მოუჩანს;
ღმერთო ცეკვისმოყვარე, გამიძეხი!

- ქ ს ა ნ თ ი ა
როგორ მინდა, უკან გავყევი,
ცეკვითა და თამაშით
415 ვერ გავძლები მთელი ღამე!

დ ი ო ნ ი ს ე
მეც, მეც მინდა!

- კ ო რ ი ფ ე ო ს ი
რა თქმა უნდა, თქვენც გინდათ,
არქედემოსს დავცინოთ,
რომელსაც შვიდ წლამდე პატრონი არ ჰყავდა;
420 ახლა კი ხალხს უძღვება,
ზედა მიცვალებულებს,
პირველი კაცია იქ გარყვნილებასი.

- კლისთენეს ძის ამბავი
ხომ გაიგეთ, საფლავში
რომ იზრდენის უკანალს და სახეს იბოკავს?
425 იბრაგუნებს გულზე ხელს,
ტირის, ზღავის, მოუხმობს
ერთ წმინდისკაროელ მეგობარს, მატკანეს.

- ამბობენ, რომ კალია,
ჰიმოტკანეს ვაჟკაცი
430 ტყავში გახვეულა „საზღვაო ბრძოლისთვის“.

დიონისე
ხომ ვერ გვეტყვი, სად არის
აქ პლუტონის სასახლე?
სტუმრები გაბლაყაოთ ახლაბან მოსულნი.

კორიფეოსი
ახლა შორს არ ნახვიდე,
435 არც მე მკითხო ხელახლა.
იცოდე, სწორედ იმ კართან ხარ მოსული.

დიონისე
აბა, ფუთა აიდე.
ქსანთია
ნეტავ, რა ამბავია?
რაა ამ ფუთაში, „კორინთე, ზეესის ძე“?

კორიფეოსი
440 შემოდით
ქალღმერთის წმინდა ნაკრძალში, ამ
ყვავილოვან ველზე,
ზეიმის მონაწილენი; აქ გაიხარეთ გული.
445 მე კი გამოძევს ქალებისა და ქალწულების
გუნდი.
ნაწილეთ, რათა ღამრებით ღამე უთოთოთ
ქალღმერთს.

პირველი ნახევარგუნდი
ანტ მხოლოდ ჩვენთვის ამოდის
455 ნზე და მოაქვს სინათლე.
ჩვენ ვართ ზიარებულნი,
ღვთისნიერად ვიღებთ
უცხოებსა და ჩვენივე
თანაქალაქელებს.

გუნდი მარჯვნივ იკავებს ადგილს. დიონისე და
ქსანთია მადიან მარცხნივ, პლუტონის სასახლის
კარებთან.

პირველი ეპისოდიონი

დიონისე
460 მინდა, ამ კარებზე დავაკაკუნო და
არ ვიცი, აქ როგორ არის მიღებული.

ქსანთია
ნულარ დააყოვნებ, ბრახუნი ატყებ.
პერაკლეს სახე და სიმტკიცე გახლავდეს.

დიონისე
ჰე, ზიჭო!

გამოდის ეაკოსი.

ეაკოსი
ვინა ხარ?

დიონისე
მძლეთამძლე პერაკლე გახლავარ.

ეაკოსი
465 ო, შე საზიზღარო, ურცხო და თავზედო!
ბილწო, ყოვლადბილწო, ყოვლადუბილწესო!
შენ არ მოიტაცე ჩემი კერბეროსი?
ახრწობდი სანქსალს და ისე მიათრევდი.
ახლა სად ნამიხვალ? შერზე იზრუნებენ
470 სტიქსის ქარაფები, შავგულიანები,
სისხლჭარბ აქერონის მრისხანე კლდეები.
კიდევ: კოკიტოსთან გელიან ძაღლები;
შო... ასთავიანი ექიდნაც მოელის
შენს ძვირფას მიგნულს; ფილტვს
ტარტესოსელი
475 მურენა არავის დაუთმობს იოლად;
თირკმლებს და სისხლიან ნანღავენს
დაგლეჯენ
ტითრასის მკვიდრები, გულქვა გორგონები.
მე დაუყოვნებლივ მათკენ გავიქცევი.

(გადის.)

ქსანთია
რა გჭირს?

დიონისე
ჩავესვარე... მოიხმე უფალი.

ქსანთია
480 სერიო თუ გინდა, ესაა! ადექი,
სანამ დაგინახეს.

დიონისე
გული შემიღონდა.
ტილო მომიტანე და გულზე დამადე.

ქსანთია
აიდე, დაიდე. ო, ოქროს ღმერთებო!
შენ გული მანდა გაქვს?

დიონისე
ალბათ მიძისაგან
485 შესტა და ჩავარდა პირდაპირ მუცელში.

ქსანთია
გველაზე მხდალი ხარ მოკვდავ-უკვდავებში!

დიონისე
მე მხდალი როგორ ვარ? — ტილო მოვითხოვე.
იცი, რას იზამდა სხვა?

ქსანთია
შო, რას იზამდა?

დიონისე
490 მხდალი ხომ პირდაპირ სუნში ჩანვებოდა.
მე — ფეხზე ადექი, თან გამოვინმინდე.

ქსანთია
რა ვაუჟაცობაა!

დიონისე

სწორედ, ღმერთმანი!

შენ არ შეგაშინა სიტყვათა ხმაურმა,
ამდენმა მუქარამ?

ქსანთია

არც კი მიფიქრია.

დიონისე

495 ასეთი ვაჟკაცი თუ ხარ და მამაცი,
შენ გახდი პერაკლე! აილე კომბალი,
ესტყავიც შენ გქონდეს, ჯივარუშიშარო!
მე ტვირთს წამოგიღებ, უკან გამოგყვები.

ტანსაცმელს უცვლიან ერთმანეთს.

ქსანთია

500 კარგი, გავაკეთოთ. დაგემორჩილები.
შენ ახლა უყურე პერაკლექსანთიას,
მხდელი და ლაჩარი თუ იქნა შესავით.

დიონისე

არა, შენ მელიტელ ავაზაკს მაგონებ.
იარე, ამ ბარგს კი თვითონ წამოვიღებ.

მოახლე

(გამოდის სასახლიდან.

ქსანთია-პერაკლეს)

505 ო, უძვირფასესო, მოხვედი, პერაკლე?
ქალღმერთმა გაიგო შენი ჩამოსვლა და
პური გამოგიცხო, ქოთნები აგვისო
ფაფით და მთლიანი ხარიც შეგიბრანა;
მზადაა კვერები, წამცხვრები... შემოდი!

ქსანთია

ძალიან კარგია!

მოახლე

აპოლონს ვფიცავარ,

არსად არ გაგიშვებ: შენთვის იხარშება
ფრინველის ხორცი და ცხეება ტკბილეული;
შემზადებულია ღვინოც საუცხოო.
მოდი, შემომყევი!

ქსანთია

გმაღლობ!

მოახლე

რის მაღლობა?

515 მაინც არ გაგიშვებ, სახლში ფლეიტისტი
ქალი გელოდება; მოცეკვავეებიც
არიან.

ქსანთია

რას ამბობ? მოცეკვავეები?

მოახლე

და რა გოგოები! ახლა გაიპარეს.
შემოდი, აპირებს ახლა მზარეული
თევზის შემოტანას, მაგიდაც შემოაქვს.

ქსანთია

520 შედი და უთხარი იმ მოცეკვავეებს,
სახლში რომ არიან, მოდის-თქო პერაკლე.
ბიჭო, წამოილე ბარგი და მომყევი.

დიონისე

525 შენ, ბიჭო, მოიცა! მართლა დაიჯერე?
მე ხომ სულ ხუმრობით გაგხადე პერაკლე.
თავს ნუ გაგივიდა, გონს მოდი, ქსანთია!
ბარგს ხელი დაავლე, აბა, წამოილე!

ქსანთია

რა იყო? შენ ახლა მიძირებ, წამართვა,
რაც თვითონ მომეცი?

დიონისე

როგორ თუ ვაპირებ?

აბა, გაიხადე!

ქსანთია

(მაცურებლებზე მოუთითებს)

სუფელას გიმონმებით
და ღმერთებს მივმართავ.

დიონისე

რა ღმერთებს მიმართავ?

530 ქუთუზე არა ხარ! სად ვიდაც მოკვდავი
მონა და სად კიდევ ალკმენეს ვაჟკაცი!

ქსანთია

დამშვიდდი, ბატონო, იცოდე, ოდესმე
კიდევ დაგჭირდები, თუ ღმერთმა იხება.

ისევე უცვლიან ერთმანეთს ტანსაცმელს.

პირველი ნახევარ გუნდი

უკვე ჩანს, რომ კაცი არის
ჭკვიანი და გონიერი.

535 ალბათ, ბევრიც უნახავს.

სულ ამაზე არის თქმული

„არსად არ დაიკარგება“.

კარგიცაა, სჯობია

დგომას ქანდაკებასავით,
სახეს ერთს რომ არ შეიცვლის.

მოდრაობა, ძიება,

540 გამოჩნა — აი, მესმის!

თერამენეს მაგონებს.

დიონისე

სასაცილო იქნებოდა,
თუ ქსანთია, ვინმე მონა

მიღეტოსურ ნივთებზე

დაინყებდა კოჭრიალს და

ღლაბუცს მოცეკვავეებთან!

545 ღამის ქოთანს მომთხოვდა,

მე კი სანთლებს დავუჭერდი!

რა თაღლითიც არის, ვიცე:

მნახავდა და იმავნაშს

ყბაში მუშტებს დამიშენდა,

კბილებს არ შემარჩენდა.



მეორე ეპისოდიონი

შეიშინებულ გარეგანებაში მყოფი ქალი,
რომელსაც მეორე მეფუნდუკე ქალი მოჰყვება.

პირველი ქალი
პლათანე, პლათანე! მოდი, ეს თაღლითი
არ არის, მაშინ რომ შევიდა ფუნდუკში
და პური ჩახეთქა თექვსმეტი?

მეორე ქალი
ლმერთმანი,
ისა ნამდვილად!

ქსანთია
მოხვდება ვილაცას!

პირველი ქალი
ურცხვი ნიორი!

დიონისე
მიჰქარავ, დიაცო!
არც იცი, რას ამბობ!

პირველი ქალი
კოთურნი ჩაიცვი
და ასე გეგონა, რომ ვეღარ გიცნობდი?
ნიორი რა არის? თევზზე ჯერ არ მითქვამს!

მეორე ქალი
ლმერთმანი, არც ყველზე. არ გახსოვს,
საბრალოვ,

50 ამან რომ ჩახეთქა კალათებიანად?

პირველი ქალი
და შემდეგ, როგორც კი ფული მოვიტოვებ,
აქედან გადმოხვდება, ბლავილი დაიწყო.

ქსანთია
კი, ეს იქნებოდა, სულ ასე აკეთებს.
პირველი ქალი
დანაც ამოიღო, თითქოსდა გაგიჟდა...

მეორე ქალი
565 ზეცს ვფიცავ!

პირველი ქალი
მაშინ ჩვენ, შეშინებულებმა,
სხვენს მივაშურეთ და იმ გადავიმალეთ;
ამან კი წნულებიც წაიღო, წავიდა.

ქსანთია
კი, ამის საქმეა.

პირველი ქალი
რალაც მოვიფიქროთ!
წადი და ჩვენს დამცველს, კლეონს დაუძახე.

მეორე ქალი
570 შენც წადი, იქნება შეგხვდეს ჰიპერბოლე.

პირველი ქალი
ახლა კი მოგვხვდება, ფაშეო საზიზღარო!
ო, რა სიბარულით დაგიმსხვრევ მაგ ეშვენი,
რომლითაც შენ ჩემი მარაგი შესანსლე!

ქსანთია
მე — გადაგისვრიდი უმაღლ ბარათრონში.

მეორე ქალი
575 ნამგალს ავიღებდი, სასას ამოგვევითი,
რომლითაც ჩახეთქე ჩემი კუბატები.

პირველი ქალი
კლეონთან მივდივარ, იგი სამართალში
მიგცემს და რაც ჭამე, ამოგანთხევინებს.

ქალები გადიან.

დიონისე
მომკალით! — ქსანთია მაინც მეგვარება!

ქსანთია
580 მიგისვდი, რაც გინდა. შეწყვიტე, შეწყვიტე,
სად მე, სად ჰერაკლე?

დიონისე
ნუ იტყვი, ძვირფასო,
ნუ იტყვი, ქსანთუნა.

ქსანთია
მე, ვილაც მოკვდავი,
თან მონა, აღკმენეს ძე როგორ ვიქნები?

დიონისე
პო, ეცი, რომ ბრაზობ; მართალიც ბრძანდები.
585 მომკალი, თუ გინდა, სიტყვასაც არ ვიტყვი.
თუ ან იღვწებ ნაგართვა სამოსი,
არ დამრჩეს არავინ, მომიკვდეს ცოლ-შვილი,
მეც მოკვდეს და მომეცეს უკან აქემედეც!

ქსანთია
მივიღე ეს ფიცი და შენი პირობაც.

კვლავ უცვლიან ერთმანეთს ტანსაცმელს.

მეორე ნახევარგუნდი
ანტაბა, ახლა თუკი შენთვის
590 წართმეული სამოსელი
დაგიბრუნეს თავიდან, —
გაიმარჯვებ სული, გული,
შეიძინე სამინელი

გამოხედე, გახსოვდეს,
რომ ღმერთი ხარ და გამაგრდი.
თუკი როშვა დაიწყე და
რამე ნაზი წამოგცდა,
595 არაფერი არ გიშველის, —
ბარგს ატარებ თავიდან.

ქსანთია
კაცნო, ცუდად არ მირჩიეთ,

მე თვითონაც მივხვდი ამას,
ჩავენდო უკვე ყველაფერს.
თუკი რამე კარგი მოხდა,
600 კვლავ წართმევას შეეცდებოდა,
კარგად ვიცი, ნამდვილად.
მე კი მაინც მამაცურად,
გამბედავად ვიქნები და
თვალეზიდან ცეცხლს ვისვრი;
დამჭირდება, როგორც ვატყობ:
ხმაურია კარებთან.

მესამე ეპისოდონი

ორი მონის თანხლებით შემოდის ეაკოსი.

ეაკოსი
605 შეკარით სასწრაფოდ ეს ძაღლიპარია,
პასუხი რომ აგოს!

დიონისე
ვილაცას მოხვდება!

ქსანთია
ფეხი არ გადმოვდგათ!

ეაკოსი
ეს ბრძოლას აპირებს?!
დიტილას, სკებლია, პარდოკას! სასწრაფოდ
გამოდით სამივე, ამას მოუარეთ!

მონები გამოვრბიან და კრავენ ქსანთიას.

დიონისე
610 საშინელებაა, სხვისას იპარავს და
ხალხსაც სცემს!

ეაკოსი
ნუ იტყვი, გასაოცარია!

დიონისე
საზიზღარია და თავზედი!

ქსანთია
ლმერთმანი,
არასდროს ვყოფილვარ აქ, არც არაფერი
მე არ მომიპარავს; მოვკვდე, თუ ვტყუოდე!
615 ერთ კეთილშობილურ აზრს შემოგთავაზებ:
ხომ ხედავ ამ მონას, ეს გამოსცადე და
თუ ბრალი დამედოს, მოკალი მაშინვე.

ეაკოსი
როგორ გამოვცადო?

ქსანთია
ო, ყველანაირად!
გაჭიმე, დაკიდე, სცემე, გაატყავე,
620 დაოთხე ან ცხვირში ძმარი ჩაუღვარე.
მუცელზე აგური დააწყე... ერთს კი გთხოვ:
პრასით ან ახალი ხახვით არ გაჯიოხო.

ეაკოსი
კაცური სიტყვაა! თუ მონას რაიმე
მოუვა ცემაში, ფულით გადავიხდი.

ქსანთია
625 მე ფული არ მინდა, მუქთად გამოვცადე.

ეაკოსი
მამ, აქვე, შენ თვალწინ გამოტყდეს ეს მონა
(დიონისეს)
ტვირთი წამოიღე და არ გაგვიბედო
არც ერთი ტყუილი.

დიონისე
მე თქვენ გეუბნებით,
ვინმემ არ მანამოს! ღმერთი ვარ უკვდავი!
630 თავებდს განყვევლინებით, გაფრთხილებთ!

ეაკოსი
რას ამბობ?

დიონისე
ვამბობ, რომ ზევის ძე ვარ მე, დიონისე.
ეს ჩემი მონაა.

ეაკოსი
თუ გესმის?

ქსანთია
კი მესმის;
მაშინ მას წამებაც ველარ შეაშინებს.
ღმერთი თუ ბრძანდება, ცემასაც ვერ
იგრობს.

დიონისე
635 შენაც ხომ ამტკიცებ, რომ ღმერთი ბრძანდება!
მაშინ ხომ შენც უნდა გაწამოწმე ჩემსაკით.

ეაკოსი
კაცური სიტყვაა!

ქსანთია
ჩვენ ორში რომელიც
პირველი იყვირებს ან ტკივილს შეიგრძნობს,
იმშუთას მიხვდება: ის ღმერთი არ არის.

ეაკოსი
640 ნაღდად ღირსეული კაცი ხარ; გეტყობა,
სამართლიანიც ხარ. აბა, გაიხადეთ!

ქსანთია
ახლა რას გვიპირებ?
ეაკოსი
საშინელს არაფერს,
ცოტ-ცოტას დაგარტყამთ ორივეს.

ქსანთია
კარგია.
ნახე, განძრეულსაც ველარ დამინახავ.

ეკოსი

(ურტყამს ქსანთიას)

645 დაგარტყი?

ქსანთია

ღმერთმანი, არც კი გამიგია!

ეკოსი

იმასთან მივალ და დაუარტყამ.

ურტყამს დიონისეს.

დიონისე

როდისღა?

ეკოსი

დაგარტყი.

დიონისე

მაშ, რატომ არ მეხიციანება?

ეკოსი

არ ვიცი. ხელახლა იმასთან გადავალ.

ურტყამს ქსანთიას.

ქსანთია

ნეტავ, რას აყოენებ? ეაჰ, ეაჰ, ეაჰ!

ეკოსი

რა „ეაჰეაჰ“?

650 გეტყვინა?

ქსანთია

ო, არა! პერაკლეს ზეიმზე
ვფიქრობ, როდისაა ის დიომედაში.

ეკოსი

ეს წმინდა კაცია. კვლავ იმას გამოეცდი.
ურტყამს დიონისეს.

დიონისე

ოჰ, ოჰ, ოჰ!

ეკოსი

რა მოხდა?

დიონისე

მხედრები დავლანდე.

ეკოსი

მერე, რა გატირებს?

დიონისე

ეს? ხახვმა ამინვა!

ეკოსი

655 რამე არ გაწუხებს?

დიონისე

არა, არაფერი!

ეკოსი

ხელახლა იმასთან უნდა გადავიდე.

ურტყამს ქსანთიას.

ქსანთია

ვაიმე!

ეკოსი

რა იყო?

ქსანთია

ეკალი შენერჭო.

ეკოსი

ეს რა ამბავია? იმასთან გადავალ.

ურტყამს დიონისეს.

დიონისე

აპოლონ! „...რომელიც მბრძანებლობს დელისზე...“

ქსანთია

660 ეტყინა! ხომ გესმის!

დიონისე

სულ არა! რატომღაც
უცებ ჰიპონაქსის ლექსი გამახსენდა.

ქსანთია

კარგად ვერ აკეთებ, ფერდი ჩაუღენე!

ეკოსი

ო, არა, ღმერთმანი!

(დიონისეს)

მუცელი მაჩვენე!

ურტყამს.

დიონისე

ოო, პოსეიდონ!

ქსანთია

ეტყინა!

დიონისე

„...რომელსაც

665 გიპყრია ზღუები და ეგევოსის ნაპირი...“

ეკოსი

დემეტრეს ვფიცავარ, ვერ მიხვდი, თქვენ ორში
ღმერთი რომელია? შემოდი თ ორივე.

670 ჩემმა მბრძანებელმა და მისმა ნიუღლემ
განსაჯონ, თვითონაც ღმერთები არიან.

დიონისე
აი, ეს სწორია! ნეტავი აქამდეც
მოგეფიქრებინა, სანამ გაძვლხავდი.

პარაზასისი

- პირველი ნახევარგუნდი
675 მოუუახლოვდი წმინდა გუნდებს და
ხიბლი შიგვით ჩემს საგალობლებს, მუზა!
მოდო და ნახე ხალხის სიმრავლე, ათი ათასი
ბრძენი კაცი ზის აქ.
680 ღირსებით ყველა აღემატება კლეოფონს;
მას კი ბაგვეთ თრაკოული მერცხალი უზის
და უჭიკჭიკებს, თითქოს
ბარბაროსებთან სადმე ფოთოლზე იჯდეს;
გულისმომკვლელად გვებუღებულეა,
დავიღუპებო იმავნამს,
685 თუ გამეყო ხმები.

- პირველი ნახევარგუნდის
ნინამძლოლი
წმინდა გულის ვალი არის, ქალაქს პატიოსნება
ურჩიოს და შესანავლოს. ჩვენი აზრით,
პირველად
ყველა უნდა გათანაბრდეს, შიში უნდა მოსპოს.
თუკი ვინმე მოატყუა, შეაცდინა ფრინიქემ,
690 თუკი ვინმეს უნებლიეთ ფეხი ერთხელ დაუცდა,
შეკუნდოთ და დაფუიწყოთ ადრინდელი
შეცდომა
და პატივსაც ნულარავის ნულარ ავყრით
ქალაქში.
სამარცხვინო საქმე გახლავთ, ზღვაზე
ერთხელ ნაბრძოლევს
პლატეელად ვხდით და მონას დავასკულებთ
ბატონად.
695 არა, ცუდი კი არ არის, კარგად ვმგრებით,
პირიქით;
სამწუხაროდ, გონიერულად მხოლოდ ამას
ვაკეთებთ;
მაგრამ თუკი არაერთგზის უომია ვილატას,
მამამისიც თუ ომობდა, ნათესავიც თუ არის,
ნუ განირავთ, შეიძრალებთ, აპატიეთ ეს ერთი.
700 გააკეთეთ ბრძნული საქმე: რისხვა გადაიყარეთ,
შევიწყალოთ და ყველანი ნათესავად მივიღოთ;
დაფუბრუნოთ პატივი და ჩვენთან ერთად
ვაბრძოლოთ.
ხოლო თუკი ქედმაღლურად, სულელურად
გავნირავთ,
როცა ქალაქს საფრთხე ელის და მორევში
იხრჩობა,
705 უფრო გვიან დაერწმუნდებით, რომ შეცდომა
დავუშვით.

- მეორე ნახევარგუნდი
თუ სწორად ვხედავ კაცის ბუნებას
და თუკი ვნებები იმის ხასიათს, მალე
710 ნაილებს ნერილს ის მაიმუნი, ავი კლაგენე,
ის ქონდრისკაცი, ის!

როგორ გვანამებს ეს საზოგადოებრივი
ნაცარმწერელ კომპოზისის, ქვიშითა და
თუქვით

მდიდარი მიწის მეუფე!
მალე ნაილებს ნერილს, თუ იცით, რატომ?

- 715 მშვიდობა არ სურს და კომპლით დადის
ყოველდღე მთვრალი ვინმემ რომ
არ შეაშინოს ღამით.

მეორე ნახევარგუნდის
ნინამძლოლი
კარგა ხშირად გვეჩვენება, თითქოს ჩვენი

ქალაქი
თავის შვილებს ისე არჩევს, საყვარლებს და
საძაგლებს,
720 ვით ძველებურ მონეტებს და ახალმოჭრილ
ოქროსს

თუ ძველია მოხეტა და გაუყალბებელია,
თუ კარგია და სჯობია სხვა მონეტებს ათასჯერ
თუ მოჭრილი არის სწორად, არის ხარისხიან
ბერძნებასა და სხვა ხალხებშიც მონონება
თუკი აქვს

- 725 არ ვიყენებთ; ბრუნვაში გვაქვს საძაგელი
სპილენძი,
აგერ, გუშინ და გუშინინ უხარისხოდ მოჭრილ
კეთილშობილ მოქალაქეს, პატიოსანს, გონიერს,
სამართლიანს, გამოსადეგს, ნესიერს და
რიგიანს

პალესტრაში განათლებულს, მუსიკაში
გარკვეულა

- 730 ვაძვეებთ და ახალ სპილენძს, ყირმისა და
უცხოელს,
საძაგელს და საძაგლის შვილს სიხარულით
ვიტოვებთ,
თუმცა გუშინ მოუთრენ და ერთ დროს ჩვენი
ქალაქი
შესანიად ვარგისადაც არ ჩათვლიდა მაც
ოხრებს.

მაგრამ ახლა, უგუნურნი, ჩვეულება
შეცვალეთ

- 735 პატიოსნებს დაეყრდენით, თუ ივარგეს, ზომ
კარგი
თუ არადა, კარგი ხიდან მაინც ჩამოვარდებით,
თუკი თავი გეტკინებათ, შიგნით რაღაც
გქონიათ.

მეოთხე ეპისოდისი

სახლიდან გამოდიან ქსანთია და
პლუტონის მსახური.

მსახური
ჩვენს მფარველ ზეგს ვფიცავ, ეგ შენი ბატონი
კაცური კაცია!

ქსანთია
რატომ არ იქნება?!

- 740 ქალებიც უყვარს და სმაც არ ეჯავრება.

მსახური
ახლა რომ გამოილა, კარგად არ მიგბეგვა,
რომ მონამ ისურვე უცებ ბატონობა?

ქსანთია
ხელსაც ვერ მახლებდა!

მსახური
მონა თუ იზამდა
იმას, რაც შენ ჰქენი! მომწონს ასეთები.

ქსანთია
745 რა მოგწონს, მითხარი.

მსახური
თავი ბედნიერი
მგონია, ჩემთვის რომ ვაგინებ ჩემს ბატონს.

ქსანთია
ბურტყუნი არ გიყვარს, როდესაც ნაცემი
მიდიხარ კარებთან?

მსახური
კი მიყვარს, ძალიან!

ქსანთია
უაზროდ წრიალი?

მსახური
ღმერთმანი, ძალიან!

ქსანთია
750 ზეესია მფარველი! და მიყურადება
მაგათ ლაფობაზე?

მსახური
ნუ მეტყვი, ეგოყუდები!

ქსანთია
და შემდეგ ამბების გატანა თუ გიყვარს?

მსახური
მაგის სიყვარული არაფერს ედრება!

ქსანთია
755 ფიობოს აპოლონი! მომეცი მარჯვენა,
მეც მაკოცნიე და შენაც გადაშვოცნიე.
თქვი, ზეესის საბელით, ჩვენი შემწყალებლის,

ეს რა ხმაურია, რას იგინებთან
ამ სახლში?

მსახური
ესქილე და ევრიბიდეა.

ქსანთია
რა მოხდა?

მსახური
აქ, ჩვენთან, დიდი ამბავია,

760 მკვდრებში აჯანყება და ამბობებააა

ქსანთია
როგორ, ამბობება?!

მსახური
აქ ხელოვანთათვის
არსებობს კანონი: ვინც უძლიერესი
იქნება იმათგან, მას პრიტანიონში
ედღევა უფასო კვების და პლუტონის
765 გვერდით დაბრმავების უფლება.

ქსანთია
გავიგე.

მსახური
მაგრამ თუ მოვიდა სხვა, უფრო ძლიერი,
მამინვე მას უნდა დაეთმოს ადგილი.

ქსანთია
მერედა, ესქილე რაღამ შეაშფოთა?

მსახური
770 აქამდე მას ეპყრა ტანტი ტრაგიკოსთა,
როგორც უძლიერესა.

ქსანთია
ახლა ვის უყვრია?

მსახური
როგორც ჩამოვიდა ჩვენთან ევრიბიდე,
სულ შემოიკრიბა მამისმკვლელები და
ჯიბია ქურდები და ქუჩის მძარცველები, —
ისინი შადესში საქმალად არიან.
775 მათ რომ მოიხმინეს მისი მსჯელობები,
გავიჟდნენ უმაღ და უბრძნესად ჩათვალეს;
გაამაყებულმა დაიპყრო ის ტახტი,
რომელზეც ესქილე იჯდა.

ქსანთია
არ ჩაქოლეს?!

მსახური
760 არა! მოითხოვა ხალხმა სასამართლო, —
იქ გადაყვანილთა მავათი ამბავი.

ქსანთია
ნახე, საზიზღრები!

მსახური
ხმა ცახ გააგონეს!

ქსანთია
მერედა, ესქილეს არავინ არა ჰყავს?

მსახური
ჩვენი გვიჭირს კარგები, როგორც იქ, შინაზე.

ქსანთია
დარის გაკეთებას აპირებს პლუტონი?

- მსახური
785 უნდა, შეჯიბრება მოაწიოს მავათი
და იქ გადაწყვიტოს.

ქსანთია

კი მაგრამ, სოფოკლემ
რად არ მოითხოვა ის ტახტი თავისთვის?

- მსახური
არ უნდა, ღმერთმანი! ეგ რომ ჩამოვიდა,
ესქილეს აკოცა და ხელიც ჩასჭიდა;
790 ტარტისთვის კამათი არც კი დაუწყია.
ახლა აპირებსო, ბრძანა კლიდემიდემ,
ჯდომას ეფედროსად, თუკი გაიმარჯვებს
ესქილე, ადგილზე დავერჩები, თუ არა,
შევეჯიბრებით, უთქვამს, ევრიპიდეს.

- ქსანთია
795 და მალე იქნება?

მსახური

მათი შეჯიბრება?
— მალე. აქ სასტიკი საეშვე აღიძვრება:
სასწოროზე დადებენ მავათს პოეზიას.

ქსანთია

რაო? ტრაგედიას როგორ ანონიან?

- მსახური
800 სიტყვათა გირებით. თან სახაზავებით
სულ გადაზომავენ...

ქსანთია

ფილებს აკეთებენ?

მსახური

... დიამეტრს, კუთხეებს. ბრძანა ევრიპიდემ,
სიტყვებს სულ დაეზომა ტრაგედიამო.

ქსანთია

ნარმომიდგენია, რას ბრაზობს ესქილე!

მსახური

თავი დახრილი აქვს, თვალებს აბრიალებს.

- ქსანთია
805 დავას ვინ გადაწყვეტს?

მსახური

ეს ქმნიდა სირთულეს.
ბრძენ ხალხს ხად იზოვი? ათენელებსაც ხომ
ვერ უთანხმდებოდა ხანდახან ესქილე?

ქსანთია

იმათგან მრავალი მძარცველად მიიწინადა.

მსახური

- 810 სხვებზე კი ამბობდა, არ შეუძლიათო
პოეტთა ბუნების შეცნობა; შენს ბატონს
მიმართეს ახლახან, ის პოეზიაში

ხომ კარგად ერკვევა! შეუძლებელია
კამათი ატეხეს, ჩვენც წავრად მოგვეხვედნა.

შინ შედიან.

გუნდი

- 815 სასტიკი ბრაზით აღსავსე, მებომბოვებო
ბრძოლისთვის კბილებადესილ,

მახილმოლაყენ მებრძოლ
დაინახავს და უმაღლესაშინლესი რისხვით
დააბრიალებს თვალებს.
იგი კი ჯილაზმებიან, მუხარადქნევა კამათი
სიტყვამაზებთა ნაკადით, საქმეთა

- 820 მოჩუქურთმებით
შეებრძოლება ამის მალაღფარდოვან აზრებს
და ამხედრებულ სიტყვებს.

მაშინ მრისხანე პოეტი ფაფარს აიყრის

საზარდ

წარბებს აიწვევს მძვინვარედ, ურჩხულისებრ

ლრქენით და

გოლიათური სუნთქვით ისევრის ლურსმნით

ნატვ

- 825 ფიცრებად შეკრულ სიტყვებს.

ის, ჯაღიფარი ლეკოსა, გრძნეული სიტყვის

მოქმედ

აღარ შემორკავს ენას და ერთად მოუშვებს

ალერებს

სიტყვათა ხლართებს დახსნის; ფრანათა

ზვანვებს დაძლ

და დაასვენებს ფილტვებს.

მესუთე ეპისოდონი

შემოდინ ევრიპიდე, ესქილე და
დიონისე.

- 830 ევრიპიდე
ველარ დამარწმუნებ! მე ჩემს ტახტს არ
დავთმობ
უძლიერესი ვარ ამ ხელოვნებაში!

დიონისე

რად დუმხარ, ესქილე? ხომ გესმის, რას ამბობ?

ევრიპიდე

ო, ჯერ თავს იფასებს; ასე არ შერებოდა
ეგ ტრაგედიამო? არ მატრამაზობდა?

დიონისე

- 835 დაფიქრდი, ძვირფასო, მეტისმეტს ნუ იტყვი.

ევრიპიდე

კარგად შევისწავლე; კარგად გავეცანი
ზვიადად მეტყველს და ველურთა შემოქმედს,
სადღაც არა აქვს, ვერ დაიმორჩილებს,
პირსაც ვერ დაუბოძო ზვობარქედმაღალს.



ეს ქილე
840 მართლა, ნაშიერო სოფლელი ქალმერთის?
ამას მეუბნები, ჭორების შემკრებო,
ლატაკთა შემქმნელო, ძონძების მკერავო?!
ო, ვერ გაიხარებ!

დიონისე
შენყვით, ეს ქილე!
სულ ნუ გაიხურებ შიგანს მრისხანებით!

ეს ქილე
მე ვერ მოვისვენებ, სანამდე არ ვამხელ
ამ კოჭლთა შემოქმედს, ამდენს რომ მიბედავს!

დიონისე
მონებო, ბატკანი! შენ, შავი ბატკანი!
გრივალი აპირებს, მგონი, ამოვარდნას!

ეს ქილე
შენ, შემგროვებლო კრეტულ სიმღერათა,

850 სისხლის აღრევაზე წერდი ტრაგედიას...

დიონისე
მოიცა, ეს ქილე, მრავალღირსეულო!
შენ კი, ევრიპიდე, ჭკუას მოუხმე და
სიტყვას დაემაღე, საბრალო, სასწრაფოდ,
ახლა საფეთქელში არ მოგხედვს სიტყვა და
855 არ ამოგივარდეს თავიდან „ტელეფოს“.
რისკვა დაიოკე, ეს ქილე! აჯობებს,
მშვიდად რომ დასდებდე ბრალს, რადგან

პოეტებს
ვაჭარ ქალებითი ლანძღვა არ შეგფერით;
შენ კი მუნახავით აენთე ყვირილით.

ევრიპიდე
860 მზადა ვარ ანი და უკან არ დაეიხე!
მეც ვუკებნი! ამანაც უკბინოს, თუ უნდა,
სიტყვებს და მუსიკას, ძარღვებს ტრაგედიის;
ღმერთმანი, პელეგისაც, მერმე ეოლოსაც,
მერმე მელეაგროსს ანი კიდეც ტელეფოსს.

დიონისე
865 შენ კი რას აპირებ? მითხარი, ესქილე.

ესქილე
მე აქ პაექრობა არ მსურდა, კამათში
არ ვართ თანაბარნი ჩვენ ორნი.

დიონისე
ეს რატომ?

ესქილე
ჩემთან არ მომკვდარა ჩემი პოეზია,
ამისი — მოკვდა და პადესში ჩამოაყვა.
870 და მაინც, რაკი გსურს, დავეცევი შენს ნებას.

დიონისე
აბა, მოგვიტანონ ცეცხლი, საკმეველი;
მე უნდა ვილოცო თქვენს პაექრობამდე,
რათა ღირსეულად მოგიწყობთ განკითხვა.
თქვენ — მუზებს უმღერეთ მანამდე სიმღერა.

გუნდი
875 ზეგის ცხრა ასულო, წმინდა ქალწულნი,
მუზებო, უსმინეთ პოეტთა ბრძნულ და
გონივრულ სიტყვებს;
აბლა ესენი პაექრობაში გადაეშვებიან,
მძიმე სიტყვებით ერთიმეორეს შეასკდებიან.
მოდით, მუზებო, ძალა მიაგეთ
880 სამწიგლ ბავებს, ყოვლისშემძლებს,
რომ სიტყვა შეიკრას უმტკიცესად,
რამეთუ
ინკება უკვე პაექრობა დიდი სიბრძნისა.

დიონისე
885 თქვენ ორმაც ილოცეთ, სანამ დაინწყებდეთ.

ესქილე
დემეტრე, აღმზრდელი ჩემი სულისაო,
ღირსი მქმენ შენივე იდუმალებიას!

დიონისე
შენაც განემზადე ლოცვისთვის.

ევრიპიდე
მზადა ვარ!
ოლონდ მე სხვა ღმერთებს მივმართავ, იცოდე.

დიონისე
890 რა, საკუთარი გყავს მოჭრილი?

ევრიპიდე
დიახაც!

დიონისე
ნადი და შენს ახალ ღმერთებზე ილოცე.

ევრიპიდე
ეთერო, გონების საზრდოვ, სითამამევე
ენისა, გაგებავე, ყნოსვავე დახვეწილო,
მტერი ღირსეულად მომაცლილებინეთ!

აგონი

პირველი ნახევარგუნდი
895 აბა, ყველანი ვინეთ სურვილით,
მოფუსმინოთ ბრძენკაცებს, დავინახოთ,
სიტყვებს

რა გზას დაადგებიან.
ენა გამხეცებულია,
სიმტკიცით და სიმამაცით
აღსავსეა ორივე.
900 აბლა უნდა მოველოდეთ,
რომ ფაქიზ და სათუთ სიტყვას
იტყვიან ერთი, მეორე კი
სიტყვას თავის ძირიანად
ამოთხრის და შეაღწეწავს,
სულ დაუნგრევს ლექსუკების ხუზულას.

კორიფეოსი
905 აბა, სასწრაფოდ დაინწყეთ. ილაპარაკეთ გულით,
მეორედ აღარ წამოგცდეთ ერთხელ ნათევას
სიტყვა

ევრიპიდე
თავად როგორი გახლავართ, ამას სულ
ბოლოს გიტყვი!
ჯერ მსურს, ეს კაცი გამხილო, — ცრუ,
ტრებაბა და ფლად!
ეს მატყლარა თეატრში ასულელებდა ყველას,
910 ვინც გაიარა იხედაც მტკნარი ფრინიქის სკოლა,
გამოიყვანდა მსახიობს, დაუფარავდა სახეს —
ვინმე აქილევსს, ნიომეს სადმე დასემდა
მარტო;
ამ ტრაგედიის თოჯინებს არ დასცდებოდა
სიტყვავ

დიონისე
ღმერთმანი, არ დასცდებოდათ.

ევრიპიდე
და მიყოლებით გუნდი
915 ოთხ რევსაც ჩაათავებდა... მსახიობები
დუმდნენ

დიონისე
მე კი იმათი დუმილი გულს მიამებდა უფრო,
ვიდრე მავანთა ლაყბობა.

ევრიპიდე
რადგან, იცოდე კარგად,
ბრიყვი ბრძანდებო.

დიონისე
რას იზამ! რაატომ შერეობდა ასე?

ევრიპიდე
920 მატრებაზობდა! სანყალი მაყურებელი ედის,
რის თქმას აპირებს ნიობე, წარმოდგენა კი
მდი.



ქართული ენის ინსტიტუტი

დიონისე
ხედავ ამ თაღლითს?! რამდენჯერ
მოდგეწეულვარ მისგან!
რისთვის შეგეკრავს წარბები?

ევრიპიდე
არ მოსწონს, მე რომ ვამხელ.
ასე რომ გაგასულელებით, შუაგულშია დრამა.
უეცრად თორმეტოდუე ხარისოდენა სიტყვას,
წარბჩაქანმუზარადიანს და საფრთხობელას
ისვრის,
რომ ვერ გაიგოს ვერავინ.

ესქილე
ვაი უბედურს!

დიონისე
ჩუმად!

ევრიპიდე
ერთ ნათელ სიტყვას არ იტყვის!

დიონისე
(ესქილეს)
ნუ აკრატუნებ კბილებს!

ევრიპიდე
სკამანდროსები, თხრილები, გრიფარნივეები
ფარზე,
სპილენძით გამოჭედილი, ამხედრებული ზემო!
930 თუ ვაჟკაცი ხარ, გაიგე!

დიონისე
სწორია, ღმერთებს ვფიცავ!
მეც მთელი ღამე ვფიქრობდი, არ მიძინია
ნევეთიც,
რა ჩიტა არის, ნეტავი, შავრა-მამალი-მეთქი.

ესქილე
შეუმეცარო, ხომალდზე ნიშანს ხატავენ ასეთს.

დიონისე
მე არიქნისი მეგონა, ის, ფილოქსენეს ვაჟი.

ევრიპიდე
მერედა, ტრაგედიაში რა უნდა, ნეტავი, მამალს?!
ესქილე
ო, საძულველო ღმერთთათვის, შენ ვინ
გამოგყავს ერთი?!
ევრიპიდე
შავრა-მამლები, შენსაგით და თხა-ირმები არ
მყავს,
რადგან მაგათი ადგილი სპარსულ ფარდაზე
გახლავს.
მე შენგან რა ჩავიბარე? რა? — ტრაგედია
მძიმე,
940 გასივებული ტრაბახით, მსუყუე სიტყვებით
საესე;
რა უნდა მექნა? პირველად შევამსუბუქე
ოდნავ, —

მზატე სიტყვები მივეცი, გავასიერე ცუტადიქოთქა
წიგნიდან გამოშურული ყბედობის წვენი ვასვი,
კეფისოფონტთან შერეულ მონოდიებით
ვაკვებე;
945 ენაზე მომდგარს, ყველაფერს აღარ ამბობდა
გმირი,
როგორც კი გამოვიდოდა, წარმოაჩენდა
ნათლად
დრამის ხასიათს.

დიონისე
და შენსას ათასჯერ სჯობდა იგი.

ევრიპიდე
პირველი სიტყვებიდანვე არავინ მყავდა უქმად;
სიტყვას ვაძლევდი სუყველას; დედაკაცებს
და მონებს,
950 დედაბრებსა და ბატონებს, ქალიშვილებსაც.

ესქილე
მერმე,
სიკედილის ღირსი არ ხარ?!

ევრიპიდე
არა, აპოლონს ვფიცავ!
დემოკრატია ესაა.

დიონისე
ეს მიატოვე, კარგო;
შენ ამ საკითხზე მსჯელობა ვარგარ
მოგიტანს ახლა.

ევრიპიდე
ამათ ლაყბობა ვასწავლე...

ესქილე
და მეც ამას არ ვამბობ?!
955 მაგ „სწავლებლამდე“, ნეტავი, გამსკდარიყავი
თავად!

ევრიპიდე
...და გავაცანი აზომეა და შეფასება ლექსის;
ფიქრი, ჭკურტა და გაგება, მოტყუება და
განსჯა,
ტრობა და ყველაფრისადმი ეჭვი.

ესქილე
მეც ამას ვამბობ.

ევრიპიდე
მე საოჯახო ამბები შემოვთავაზე სცენას,
960 რაც ნაცნობია ყველასთვის; ყველას შეეძლო
ჩემი
დრამის გაგებაც, გაიკცხვაც. არ ვზეიადობდი
ფუჭად,
არ ვლაღატობდი გონებას და არ
ვაფრთხობდი ვინმეს.
კიკნეს არ ვქმნიდი, არ ვქერნდი
„ცხენეფვანშებმულ“ მეძმონს.
ან შეადარე ამისი მოსწავლეები ჩემებს:

ნარკინული

- 965 სად ამის ფორმისიოსი და მეგეტენე მანეს,
ნევრიანპოროლოსანი, დამცინამხრელნი
ფიჭვის;
სად ჩემი კლეოფონტი და ან თერემენე ბრძენი!

დიონისე

ო, თერამენე კი არის ქკუთი აღსახესე კაცის;
თუნდაც გასწიროს ზედმა და გაქრეს იმედი
ყველა;

- 970 უბედურების წარღვნიდან მშრალი ამოვა მაინც.

ევრიპიდე

ერთ-ერთი საუკეთესო
მოსწავლე იყო ნამდვილად...
ხელოვნებაში მსჯელობაც
მე შეეცნა, რომ ყველას
სუფეველადფერი გავგო.

- 975 ახლა უკეთაც ხედავენ
და შეკითხვებიც ისწავლეს:
„ეს საქმე როგორ იქნება?
ის ვინ აიღო, მითხარით!“

დიონისე

- 980 ღმერთმანი, ათენელები
შინ რომ მიდიან, იმწუთას
ყვირილს უწყებენ მსახურებს:

„აბა, სად არის ქოთანი?

ამ თევზებს ვინ მოაჭაბა

- 985 თავები? ჯამი სად არის,
რომ შევიძინე შარშანწინ?
სად დიკარგა ნიორი?
ვინ ეთამაშა ზეთისხილს?“

უწინ კი იყვნენ ჩერჩეტნი,

- 990 ბოთე „დედიკოს ბიჭები“,
დოყლაპიები სულაც.

მეორე ნახევარგუნდი

„ამას თუ ხედავ, ლოშო აქილევსი?“

შენ ამაზე რას იტყვი?

ორონდ ფრთხილად იყავი,

სულმა აღარ წაგძლიოს,

- 995 არ გაცვილდე ზეთისხილებს.

მძიმე რამეს გაბრალებენ;

მაგრამ შენ კი, რაინდო,

რისხვით ნულარ უპასუხებ;

ჩამოსხენი იალქნები,

- 1000 წყალში ფრთხილად შეცურდი;

მერმე ნელა მოუმატე

სიჩქარეს და შეეცადე,

დაიჭირო საიმედო ზურგქარი.

დიონისე

აბა, პირველი მთელ საბერძნეთში, ვინაც

აღმართე სიტყვა კომკივით

- 1005 და ტრაგედია მოაჩუქურთმე, ნიაღვარივით
მოუშვი სიტყვა!

ესქილე

მე ეს შეხედრა ბრახით მახრჩობს და

მიგნულმთაც დეცხულმდე
რომ ამას უნდა გავცე პასუხი; შენ არ
გეგონოს, რამე მიჭირდეს
ჯერ მიპასუხე: რა თვისებებით
აღგავფრთოვანებს დიდი პოეტს

ევრიპიდე

გონიერებით, ჭკუის სწავლებით, ქალაქებში
რომ აღამაყდნენ

- 1010 უკეთესებს ვხდით, იმით.

ესქილე

და თუკი არ გააკეთე ასე, პირიქით, —
რიგინი და კეთილშობილი თუ არამზადად
გადაუქცე

რისი ღირსი ხარ?

დიონისე

სიკვდილის ღირსი! ნულარ იკითხავ ამას
მეორედ

ესქილე

ახლა კი ვნახით, როგორი ხალხი მიიღე
ჩემგან თავდაპირველად
კეთილშობილნი, მაღალ-მაღალნი,
ქალაქისათვის თავდადებულნი

- 1015 ახლა კი ვინ გყავს? — მატრახაზები,
ჭორიკანები და მასხარები
ჩემს დროში ხალხი მუბით სუნთქავდა და
თეთრფრთიანი მუზარადებო
საბარკილებით, აღჭურვილობით,
შვიდხარანი ძალგულოვნებო

ევრიპიდე

ვაიმე, მოდის უბედურება! გამსრესს თავისი
მუზარადები!

დიონისე

შენ კი, გეითხარი, რა გააკეთე,
კეთილშობილნი როგორ გახადე!

- 1020 ილაპარაკე, ესქილე, ნუ ხარ მზეთაობარივით
განრისხებულ

ესქილე

დრამა შექმენი არესით სავსე!

დიონისე

რომელი დრამა?

ესქილე

„შვიდნი თებეში“.

ვისაც უნახავს, სუყველას უშალ ბრძოლაში
ყოფნა მონატრებო

დიონისე

სწორედ გე არის დიდი შეცდომა, თებელები
რომ გახადე ჩვენს
უფრო მამაცნი და მეომარნი! აი, ამისთვის კი
იცემში

ეს ქილე
1025 თქვენი განაფა მინდოდა სულაც, მაგრამ
თქვენ ასე არ მოიქცით;
მე „სპარსელები“ დაგიდგით შემდეგ, იმით
მინდოდა, მესწავლებინა,
რომ გულოვნება გმართებთ ყოველთვის;
შარავანდელი შევემოსე ბრძოლა!

დიონისე
რა სასიერო ამბავი იყო, შენ დარიოსი რომ
დაიტყვი!
გუნდმა ხელი ხელს შემოჰკრა უმაღლ და
დაიბლაკლა: „ავა, ავაი!“

ეს ქილე
1030 აი, ესაა პოეტის საქმე. თავიდანვე ხომ ის
გამოგვადგა,
კეთილშობილი ვინც იყო სულით: ორფესმა
მოგვცა მისტერიები
და აგვიკრძალა მანვე მკვლელობა;
მკურნალობა და ორაკულები
ხომ მუსსოსმა გვასწავლა, ხოლო მესიოდემ კი
მინის საქმე და
ჭირნახულისთვის გარჯა, ხენა-თესვი; თვით
ჰომეროსი, ღმერთთა სადარი,
1035 იმით არ არის სახელგანთქმული, რომ
სასარგებლო საქმე გვასწავლა:
ჯარის წყობა და აღჭურვილობა, ომში
ქველობა?

დიონისე
მაგრამ პანტაკლეს
ვერ შეასწავლა, გამოლაყებულს; მრდრიონში
რომ იყო ახლახან,
ჯერ მუზარადი დაიდგა თავზე, მერმე
ფიქრობდა ფრთის დამაგრებას.

ეს ქილე
მაგრამ ასწავლა ისეთ ფუტაცებს, როგორიც
იყო გმირი ლამაქე.
1040 მე, ჰომეროსით შთაგრენებული,
ლომგულოვანი პატროკლოსების
და ტევკროსების სიქელეს ექმნიდი, რათა
სურვილი ჰქონოდა ყველას,
გატოლებოდა ამ გმირებს, როცა საყვირი
ბრძოლადა მოუწოდებდა;
მაგრამ, ღმერთმანი, არ შემეძმნია გარყვნილი
ფედრა და სთენებე
და ვერც ვერაფერ იბოვის ჩემთან
მეგვარებული დიაცის სახეს.

ეერიპიდე
1045 რადგანაც შენში წვეთიც არ არის აფროდიტისი!

ეს ქილე
და ნუმე ყოფილა!
სამაგიეროდ, წვეთის სანაცვლოდ, შენში ხომ
არის მთელი მდინარე!
იმიტომაც ხარ წყალნაღებული.

დიონისე
ღმერთმანი, სრული სიმართლე გახლავს!
რაც მიაწერე სხვა დუდაკაცებს, თავადიც იმან
გიყო სიკეთე!

ეერიპიდე
რა დაუბავს, თქვი, უბედურო, ქალაქს იმ
ჩემმა სთენებებმა?

ეს ქილე
1050 დიდგვაროვანთა დარბაისელი ზანოვანები
შეარცხენე და
თვითმკვლელობამდე მიაყვანიე იმ ჩემს
ჰიმოლიტოს-ბელეროფონტებს.

ეერიპიდე
განა ისეთი არ იყო ფედრა, როგორიც მე
მყავს გამოყვანილი?

ეს ქილე
იყო, ღმერთმანი, მაგრამ ათავგელ ამბებს
პოეტი უნდა ურიდოს,
სცენა არ უნდა დაუთმოთ მაგათ; რადგან
ბავშვისთვის მოძღვარი არის
1055 მასწავლებელი, ხოლო დიდისთვის —
მოძღვარი უნდა იყოს პოეტი.
მან ახალგაზრდებს პატიოსნება უნდა
ასწავლოს.

ეერიპიდე
ლიკაბეტისის
და პარნასოსის სიმაღლის სიტყვებს რომ
ქმნი, ისაა პატიოსნება?
აღამიანურ სიტყვას ვერ იტყვი?!

ეს ქილე
მაგრამ, ბედმაყო, სიტყვა უცილოდ
დიადთა აზრთა და შთანაფიქრთა
შესაბამისად უნდა შეიქმნას.
1060 ბუნებრივია, ნახევარღმერთი ამაღლებულად
ლაბარაკობდეს
და სამოსელიც განსხვავებული, მაგნიასზე
ბრწყინვალე ეცვას.
მე ყველაფერი კარგად განვსაზღვრე, შენ —
ზაახდინე.

ეერიპიდე
რა გაგაკეთე?

ეს ქილე
რა დამეფებს ქონძებს აცმევდი, რათა ისინი
შესაბრალისად
მოჩვენებოდნენ ადამიანებს!

ეერიპიდე
რა დავაშავე, ნეტავი, ამით?

ეს ქილე
1065 შენგან განსწავლულს შეძლებულთაგან
არავის არ სურს ტრიერარქობა,

ყველა ძონძებში გამოხვეულა, კენესის და
ტირის, ლატაკი ვარო.

დიონისე
დემეტრეს ვფიცავ, ძონძების შიგნით კარგი
ქიტონი აცვია, წალის!
ყველას ტყუილით რომ გააცურებს,
ამოცურდება თვითონ ბაზარში.

ესქილე
მერმე ლაყობა, დაუსრულებლად
ლაზლანდარობა ასწავლე ყველას;
1070 დაცარიელდა ყველა პალესტრა, უქმად
ყოფნაში გაგვინებურდნენ
და გაგვინაზდნენ ყმანვილაცებო;
პარალსები გაგვითამაზდნენ,
ისწავლეს ენის შემობრუნება
უფროსისათვის; ჩემს სიცოცხლეში
კი არ იცოდნენ? პურს მოითხოვდნენ,
დაიძახებდნენ: „ნიჩბებს მოვუსვათ!“

დიონისე
აპოლონს ვფიცავ, ებრუნებოდათ
თალამაქსების გაბითურებაც.
1075 მეინახეთა აყროლებაც და სანაპიროზე
ხალხის გაძარცვაც.
ახლა იციან მხოლოდ კამათი, გემს
ალთა-ბალთად დაატარებენ.

ესქილე
რა სიავე არ ჩაუდენია?
არ გამოჰყავდა მაჭანკლები და
1080 წმინდა ტაძარში მშობიარენი?
ძმების სარეცელს ზიარებულნი,
რომ კითხულობდნენ, ჩვენი სიცოცხლე
სიცოცხლეო? ამის გამოა,
ხალხს უსინდისოდ რომ ატყუებენ;
1085 მაიმუნებით, ცრუ მწერლეკებით
რომ გაიჭედა მთელი ქალაქი.
ყველა მცონარე რომ გახდა ახლა,
ველარც ჩირაღდნით დარბის ვერავინ.

დიონისე
ღმერთმანი, მართლაც ვერავინ დარბის!
1090 პანათენებს რომ ეესწრებოდი,
სიცილით მოვეკედი, ჩამორჩენილი
ვიღაც პატარა, მსუქანი კაცი
სხვებს რომ მისდევდა; კერამიკოსში
დაიჭირეს და ფეხქვეშ გაიგდეს,
1095 უკანალსა და ფერდებში ურტყეს.
პატარა კაცმა თავის მტანჯველებს
სულ აუმყარა ზეღისეულები,
ჩააქრო კარი და მიიშალა.

პირველი ნახევარგუნდი
დდი საქმე, პაექრობა, მძიმე ბრძოლა გახურდა,
1100 ძნელი არის ამორჩევა:
ერთი მძლავრად უტევს, მაგრამ
მეორესაც შეუძლია, თვი მტკიცედ დაიცვას.

ერთ ადგილზე ნულარ სხედხარეთქეთქა
თავდასხმისთვის ჯერ ხომ ბევრი ხერხი არ
გისმარა?

შეუტოვო, იკამათო,
1105 მისხალ-მისხალ გააჩრჩიო
ძველიცა და ახალიც.
შეეცადეთ, ლამაზად და ბრძნულად
ილაპარაკო

მეორე ნახევარგუნდი
თუკი კიდე გემინიათ, ვინმე უცოდინარო
1110 არ აღმოჩნდეს მსმენელებში,
ვერ გაიგოს კობხად თქმული, —
ეგ ცრუ შიში გახლათ, ახლა ძველებურად
როლო

გამოცდილი არის ყველა,
ნიგნი ყველას უნახავს და ყველა იცის
სიმართლე

1115 ბევრი ნახეს, შეისწავლეს,
ბუნებაზე უშველათ.
ხულარაფრის დარდი ნუ გაქვთ,
იპაექრეთ, შეგაფასებთ ჩვენი მაყურებელი.

ევრიპიდე
პირველად, მე მინდა, პროლოგებს შევედგო,
1120 რათა ამ ღირსეულ კაცის ტრაგედიის
პირველი ნაწილი კარგად გაეაჩრით;
აზრის გადმოცემა ბნელი აქვს ყოველთვის.

დიონისე
რომელს განიხილავ?

ევრიპიდე
რომელიც იქნება.
თუნდაც „ორესტის“ პროლოგი დაიწყო.

ესქილე
1125 „ჰერმეს წილისა, მფარველო მამისა!
გენუკვი კავშირს და შველას გეაფები,
დავბრუნდი, მოვედი მშობლიურ მიწაზე...“

დიონისე
არის აქ შეცდომა?

ევრიპიდე
თორმეტი არ არის?!

დიონისე
1130 თორმეტი? სულ სამი სტრიქონი არაა?!

ევრიპიდე
და თითოეულში ოცი შეცდომაა.

დიონისე
მოიცა, ესქილე, არ გირჩევ ლაპარაკს,
ეგ ოცის სანაცვლოდ ითხოვსაც იპოვს.

ესქილე
ამასთან დავდუმდე?!



დიონისე
კი, კი, დამიჯერე.

ევრიპიდე
1135 მიწიდან ცამდე პირველი შეცდომა.

ესქილე
ტყუიხარ!

ევრიპიდე
იყვირე, მე სულ არ მადარდებს!

ესქილე
რას მითელი შეცდომად?

ევრიპიდე
დაიწყე თავიდან.

ესქილე
„პერმეს წიაღისა, მფარველო მამისა...“

ევრიპიდე
1140 ორესტე არ ამბობს ამას გარდაცვლილი
მამის სამარესთან?

ესქილე
ამას არ უარყვოფ.

ევრიპიდე
პერმესს აქ რა უნდა? მამა ხომ დაღუპა
მისივე მეუღლემ ძალდატანებით და
ფარული მზაკრობით! ვისფ არ ავ სპერმესი?

ესქილე
1145 ამაზე არ ამბობს, წიაღის პერმესს კი
მოუხმობს, უბრალოდ, უნდა განაცხადოს,
რომ ზევსის უფლება ახლა მის ხელშია.

ევრიპიდე
ეს უარესია, ვიდრე მე მეგონა!
თუ ზევსის უფლება პერმესის ხელშია...

დიონისე
...მაშინ შეუბღალავს შვილს მამის საფლავი.

ესქილე
1150 ჩემო დიონისე, არ ვარგა ეგ ღვინო.

დიონისე
განაგრძე ნაყოთხვა. შეცდომა ეძებე.

ესქილე
„გენუკვი კავშირს და შევლას გეაჯები,
დავბრუნდი, მოვედი მშობლიურ მიწაზე...“

ევრიპიდე
აქ განმეორება იწება ესქილემ.

დიონისე
1155 რა გაიმეორა?

ევრიპიდე
აბა, დაუკვირდი: ზიზღიერებს
ბრძანა მოვედო, თანაც დავბრუნდიო.
„დავბრუნდი“, „მოვედი“ — სულ ერთი არ არის?

დიონისე
ლმერთმანი, ვილაცამ რომ უთხრას მეზობელს:
„ცოტა ხნით მათხოვე ან ვარცლი, ან გოზი“.

ესქილე
1160 ეს ასე როდია, მოლაყბე კაცუნავ,
არ არის სულერთი, სწორად მიწერია!

ევრიპიდე
როგორღა? მითხარი, მეც გამაგებინე.

ესქილე
„მოვედის“ ის იტყვის, ვისაც აქვს სამშობლო
და გაძევებული არასდროს ყოფილა;
ხოლო განდევნილი — „დავბრუნდი, მოვედის“.

დიონისე
კარგია, ღმერთმანი! რაო, ევრიპიდე?

ევრიპიდე
მე კი ორესტეზე „დავბრუნდას“ არ ვიტყვი, —
ფარულად მოვიდა, არაგინ იცოდა.

დიონისე
კარგია, ღმერთმანი!... ვერ მივხვდი, რას ამბობ.

ევრიპიდე
1170 ბარემ დაასრულე.

დიონისე
მიდი, დაასრულე,
ესქილე. შენ ცუდი რა არის, უყურე.

ევრიპიდე
სამარის მიწიდან ყთხოვ, რომ გამიგონოს
მამამ და მისმინოს.

ევრიპიდე
ისე იმეორებს!
რაც ვაგონებაა, მოსმენაც ისაა!

ესქილე
1175 ბრიყვო, მიცვალებულს მოუხმობს, იმას კი
ვერას ვაგონებ, სამგზისაც რომ უხმო.
შენ როგორ პროლოგებს ვვინერდი?

ევრიპიდე
მე გეტყვი.
თუ გავიმეორო ან თუ სარეველა
მიბოვო სიტყვაში, თვალეში მაფურთხე.

დიონისე
1180 აბა, წავიკითხე, სხვა საქმე მე არ მაქვს:
უნდა მოვისმინო შენი პროლოგებიც.

ევრიპიდე
მეფე ოიდიპოს, ადრე ბედნიერი...

ესქილე
არა, ბედნიერი არასდროს ყოფილა!
მის დაბადებამდე ბრძანა აპოლონმა,
1185 რომ მამას მოკლავდა; როგორ იქნებოდა
ის კაცი ოდესმე ოდნავ ბედნიერიც?!

ევრიპიდე
...ბოლოს უბედური შეიქმნა ყველაზე.

ესქილე
ღმერთმანი, ასეთი იყო თავიდანვე.
რად არ იქნებოდა? ის რომ დაიბადა,
1190 ზამთარი იდგა და ქოთანში ჩაადგეს,
რომ გაზრდილს მშობელი მამა არ მოეკლა;
მერმე პოლიბოსთან მივიდა კოჭლობით;
ბოლოს მოიყვანა ცოლად დედაბერი,
თან დედაც აღმოჩნდა; თავიც საკუთარი
1195 ხელით დაიბრმავა.

დიონისე
ბედი ექნებოდა,
ერასინიდესთან რომ ესტრატეგოსა!

ევრიპიდე
მიჰქარავ! პროლოგებს მე კარგად ვაკეთებ!

ესქილე
ახლა საითათაოდ ვერ დავედევნები
შენს ყველა გამოთქმას. ღმერთებმა ინებონ
1200 და მაგ შენს პროლოგებს ჭინჭილით წაგიტყუც.

ევრიპიდე
ჭინჭილით? პროლოგებს?

ესქილე
ჰო, ეგეც გეყოფა.
შენ ისეთ ლექსებს ნერ, ჭინჭილა კი არა,
ჩარევი, ჭარიკი, ქვევრიც მოუდგება;
მე ამას ახლავე ნათლად დავიმტკიცებ!

ევრიპიდე
1205 შენ მე დამიმტკიცებ?

ესქილე
ჰო-მეთქი!

დიონისე
დაინწყ!

ევრიპიდე
„ასეა ნათქვამი: თავის ორმოცდაათ
ვაჟკაცთან ერთად რომ მოადგა ხომალდით
არგოსს, ეგვიპტოსმა...“

ესქილე
...ჭინჭილა დაკარგა.

დიონისე
1210 ჭინჭილას რა უნდა ამ ლექსში? ახალი
პროლოგი დაინწყ, კიდევ გამოვცადოთ.

ევრიპიდე
„მალალ პარნასოსზე, ჩირალდნის ნათელში
გუუნდს რომ უძღვებოდა, ტყავში გახვეულმა
ღმერთმა დიონისემ...“

ესქილე
...ჭინჭილა დაკარგა.

დიონისე
ვაიმე, ხელახლა დაგვეცა ჭინჭილა!

ევრიპიდე
1215 ყოველთვის ასე ხომ ვერ იზამს! ამ პროლოგს
ველარ მიაწებებს იმ წყეულ ჭინჭილას:
„ველეგან ბედნიერი კაცი ვერ იქნება;
იქნებ გვაროვანმა სარწოც ვერ იშოვოს,
ხოლო უაზნოდ კი...“

ესქილე
...ჭინჭილა დაკარგოს.

დიონისე
1220 კაცო, ევრიპიდე!

ევრიპიდე
რაო?

დიონისე
ჩამოსხნი
აფრები! ჭინჭილამ მაგრად შეუბერა!

ევრიპიდე
დემეტრეს ვფიცავარ, არც კი გავიფიქრებ!
მაგ „ჭინჭილფარმალას“ სულ დავაყრევინებ!

დიონისე
აბა, სხვა დაინწყ. უფრთხილდი ჭინჭილას!

ევრიპიდე
1225 „სიდონის ქალაქს რომ გამოსცდა, კადმოსმა,
ძემ აგენოროსა...“

ესქილე
...ჭინჭილა დაკარგა.

დიონისე
კაცო, შეეხვეწე, მოგყიდოს ჭინჭილა,
თორემ სულ დაღუპავს პროლოგებს.

ევრიპიდე
ეს როგორ?
მე უნდა ვეხვეწო?

დიონისე
კი, კი, დამიჯერე.

ე ვ რ ი პ ი დ ე
1230 ი, არა! მარგში კიდევ მაქვს პროლოგი,
ველარ მიაწებებს ზედ თავის ქინჭილას:
„პისას რომ მიადგა ცხენით, ტანტალოსის
ვაჟაცმა, პელოფსმა...“

ეს ქ ი ლ ე
...ქინჭილა დაკარგა.

დ ი ო ნ ი ს ე
მაინც მოუმატა თავისი ქინჭილა.
1235 იქნება მოგვყიდო, რას იტყვი? იშოვი
მაგაზე უკეთესს ორიოდ ობოლად.

ე ვ რ ი პ ი დ ე
ღმერთმანი, კიდევ მაქვს მრავალი პროლოგი!
„ენეგსმა მინდორში...“

ეს ქ ი ლ ე
...ქინჭილა დაკარგა.

ე ვ რ ი პ ი დ ე
ჯერ სრული სტრიქონი მაინც მათქმევინე!
„ენეგსმა, მინდორში აღებულ მოსავლის
ნილი რომ შესწირა...“

ეს ქ ი ლ ე
...ქინჭილა დაკარგა.

დ ი ო ნ ი ს ე
გვ როგორ, წირვის დროს? ვინმემ მოიბარა?

ე ვ რ ი პ ი დ ე
თავი დაანებე, ძვირფასო. ახლა თქვას!
„ჭეშმარიტადაა ნათქვამი, რომ ზევსმა...“

დ ი ო ნ ი ს ე
1245 დამლუპავე! ხომ იტყვის: „ქინჭილა დაკარგა!“
ქინჭილას ლექსიდან ველარ მოიცილებ,
როგორც ქუთუთოზე ამოსულ ჯიბლიბოს.
ახლა სიმღერებზე გადადიო, გაფიცებო!

ე ვ რ ი პ ი დ ე
ახლავე გაჩვენებო, როგორ წერს სიმღერებს,
1250 სულ რომ იმეორებს ერთსა და იმავეს!

პ ი რ ვ ე ლ ი ნ ა ს ე ვ ა რ გ უ ნ დ ი
რა მოხდება, ნეტავ, ანი?
საფიქრალი კიდევ დამრჩა:
რა გასაკიცხს უნახავს
კაცს, რომელიც სიმღერებით
1255 ამტამინდელ ტრაგიკოსებს
ბევრად აღემატება?
მივივრს! ნეტავ, რას უპოვის
ანდა როგორ გაკიცხავს
ბაკქეურის მეუფეს?
1260 მეშინია ამისი.

ე ვ რ ი პ ი დ ე
გასაოცარია მისი სიმღერები;
სუფეველა ერთ ხმაზე რომ დაიყვანება!

დ ი ო ნ ი ს ე
მე კენჭებს ავიღებ და დათელას დაეინყებ.

ე ვ რ ი პ ი დ ე
„ლომო აქილევს! ხომ გესმის ბრძოლის ხმა
და ქვეთინი!
1265 ეაჰ, რა ტანჯვაა! რად არ გვეშველები?!
პერმეს, მეუფეს ჩვენს და წინაპარს,
მოვეუბნოთ ტბასთან;
ეაჰ, რა ტანჯვაა, რად არ გვეშველები?!“

დ ი ო ნ ი ს ე
ეს ქილე, ეს უკვე მეორე „ტანჯვაა“!

ე ვ რ ი პ ი დ ე
1270 „სახელმორჭეულო ატრეცის ძეო, ხალხთა
მეუფევე, მოთხარო:
ეაჰ, რა ტანჯვაა, რად არ გვეშველები?!“

დ ი ო ნ ი ს ე
ეს ქილე, ეს უკვე მესამე „ტანჯვაა“!

ე ვ რ ი პ ი დ ე
„დადღმდით, ტაძარს არტემისისა დააღებენ
ქურუმნი ქალნი
1275 ეაჰ, რა ტანჯვაა, რად არ გვეშველები?!
ლეთიური ნიშანი მომეცა! გმირებს
წარმატება ელით!
ეაჰ, რა ტანჯვაა, რად არ გვეშველები?!“

დ ი ო ნ ი ს ე
ზევსო, ო მეუფე! მართლა დაეიტანე!
ახლავე აბანოს უნდა მივაკითხო:
1280 თირკმლები გამოსკდა ამაღნი ტანჯვისგან.

ე ვ რ ი პ ი დ ე
ჯერ უნდა უსმინო სხვა წყობის სიმღერას,
რომელიც კითარის თანხლებით სრულდება.

1285 „აქაველით ორი ტახტის დარად მთელი
საბერძნეთი,
ტოფლატოთრატოფლატოთრატ,
სფინქსს, შავი დღის ძუკნა-პრიტანს,
გაავზავნის,
ტოფლატოთრატოფლატოთრატ,
საზარელი გველეშაპი შუბითა და მსახვრალ
ხელით,

1290 ტოფლატოთრატოფლატოთრატ,
შესახვედრად ცაში მფრინავ ძალებს უხმოხს
ტოფლატოთრატოფლატოთრატ,
აიასის ნინაალმდეგ,

1295 ტოფლატოთრატოფლატოთრატ.

დ ი ო ნ ი ს ე
ვინ არის ფლატოთრა? მართლია?
ჭიდან წყალს რომ იღებ, იმის სიმღერაა!

დიონისე
აბა, დაიჭირეთ; ხელი არ გაუშვათ,
1380 სანამდე მე „კუკუს“ არ ვიტყვი, მანამდე.

ესქილე და ევრიპიდე
გვიჭირავს.

დიონისე
სასწოვრზე დადეთ სტრიქონები!

ევრიპიდე
„არგო რომ ამგვარად არ გაფრენილიყო...“

ესქილე
„მდინარე სპერქიოს, ხართა სამოვრებო...“

დიონისე
კუკუ!

ესქილე და ევრიპიდე
ჩვენ გაცუშვით.

დიონისე
ესქილეს პინაა
1385 დაბლა დაწეული.

ევრიპიდე
მიზეზი რა არის?

დიონისე
რად და „მდინარით“ ლექსი დაამსიმა;
მატყლის გამყიდველიც მატყლს ასე ასველებს;
შენი სტრიქონიკი მსუბუქად „აფრინდა“.

ევრიპიდე
სხვა რამეს ვიტყვი და დამიპირისპირდეს.

დიონისე
1390 ისე დაიჭირეთ!

ესქილე და ევრიპიდე
გვიჭირავს.

დიონისე
დაიწყეთ!

ევრიპიდე
„მხოლოდლა სიტყვაა ტაძარი
რმენისა...“

ესქილე
„მხოლოდ თანატოსი გაურბის
საბოძვარს.“

დიონისე
გაუშვით!

ესქილე და ევრიპიდე
გაუშვით.

დიონისე
კვლავ ამან დასწია,
მიიმეთ ანატოსი — სიკვდილი დაადო.

ევრიპიდე
1395 მერსმენადავად, ბრწყინვალე სიტყვაა!

დიონისე
რწმენა მსუბუქია, გონებაც არ ახლავს.
სხვა რამე მოძებნე, მძიმე და მაგარი,
იქნებ გადასწონო ამისი ხიტყვები.

ევრიპიდე
მეუნება ასეთი?

დიონისე
გეტყვი: „აქილეუსმა
1400 ორი იაქე და ჩარი გააგორა.“
დაიწყეთ! ეს ბოლო ანონეა იქნება.

ევრიპიდე
„უმაღლე რკინის კეტს დაავლო მარჯვენა...“

ესქილე
„ეტლო ეტლს დაეცა და ცხედარს ცხედარი...“

დიონისე
ისევ გააგებრიყვა.

ევრიპიდე
როგორ მოახერხა?

დიონისე
1405 ეტლებიც დაყარა, ცხედრებიც დააწყო;
ამას ვერ ასწევდა ასი ეგვიპტელიც.

ესქილე
რად გვინდა სტრიქონი? ავიდეს სასწოვრზე
ეს კაცი ცოლ-შვილით და კეფისოფონტიც
მაგათთან დაბრძანდეს, წიგნებიც აიღოს;
1410 ორ სტრიქონს ვიტყვი და მაინც გადავწონო.

შემოდის პლუტონი და მისი ამაღლა.

დიონისე
მეგობრებს მსაჯულად მე ვერ დავუდგები,
ეტყობა, არჩევანს მე ვერ გავაკეთებ;
ეს ბრძნად მიმაწნია, ის მიყვარს ძალიან.

პლუტონი
რისთვისაც მოსულხარ, იმას არ აკეთებ?

დიონისე
1415 დათუ გავაკეთებ?

პლუტონი
წაიყვან, რომელსაც
აირჩევ, ტყუილად ხომ არ ხარ მოსული!

დიონისე
ო, დიდი მადლობა! მისმინეთ ორივემ!
მე აქ პოეტისთვის მოვსულვარ.

ევრიპიდე
რად გინდა?

დიონისე
მინდა, რომ ქალაქმა ზეიმი მოაწყოს.
1420 თქვენ ორში ვინც უფრო ბრძნულს ურჩევს
ჩვენს ქალაქს,
ვინც მეტს გაუკეთებს, მეც იმას ნაფიყვან
პირველად ეს ვნახოთ: ალკიბიადეზე
რას ფიქრობთ? ქალაქი აღელვებულია.

ევრიპიდე
ხალხი კი რას ფიქრობს?

დიონისე
რას უნდა ფიქრობდეს?
1425 უფრო, ევავრებათ, მაინც სურთ, რომ
ჰყავდეთ.
მითხარით, თქვენ თვითონ როგორი აზრის
ხართ?

ევრიპიდე
მძულს ის მოქალაქე, რომელიც სამშობლოს
კარგისთვის ზანტია, ცქვიტია ცუდისთვის;
თავისთვის ძლიერი, სხვებისთვის უძლური.

დიონისე
1430 კარგია, ღმერთმანი! შენ რა აზრისა ხარ?

ესქილე
ქალაქში ლომები არ უნდა დაზარდო;
თუ გაზრდი, კიდევაც უნდა გაუგონო.

დიონისე
მფარველო უფალო! მიჭირს გადაწყვეტა.
ერთმა თქვა ბრძნულად და მეორემ —
გარკვევით.

1435 მაშ, კიდევ მოგინევთ აზრების გამოთქმა:
მითხარით, ქალაქის შეელაზე რას ფიქრობთ?

ევრიპიდე
ვინმემ კლეოკრიტეს ფრთებად კინესია
მისცეს, რომ ქარებმა ზღვისკენ გააქროლონ...

დიონისე
რას ვისიერებდი! რის თქმას აპირებდი?

ევრიპიდე
1440 ...რათა იქ იბრძოლონ გემებზე. სამხარით
ძმარი სულ თვალებზე შეასხან მომხდურებს.
მე ვიცი და მინდა, რომ ვითხარათ.

დიონისე
გვითხარი.

ევრიპიდე
საეჭვო რაც არის, სანდოდ მივიზნით,
სანდო კი — საეჭვოდ.

დიონისე
ეს როგორ? ვერ მივხვდი!
1445 უფრო გასაგებად და ნათლად გვითხარი.

ევრიპიდე
მოქალაქეთაგან ვისაც დღეს ენდობით,
იმათ არ ენდოთ და ვისაც არ ენდობით,
იმ ხალხს მიენდეთ და დახსნილი იქნებით.
ახლა უბედურნი — გაბედნიერდებით,
1450 ყველაფერს უკუღმა თუკი გააკეთებთ.

დიონისე
ყოჩაღ, პალამედე, ცბიერო გონება!
ეს შენ მოიფიქრე თუ კეფისოფონტმა?

ევრიპიდე
ბევრი მე, სამხარე კი — კეფისოფონტმა.

დიონისე
აბა, შენ რას იტყვი?

ესქილე
ჯერ თქვი, სათავეში
1455 პატიოსნება?

დიონისე
როგორ იქნება?
ვის მოსწონს ისინი? — მხოლოდ საძაგლები!

ესქილე
რა პენას სახელმწიფომ, თუ ხალხი არა ჰყავს?
რალა გადაარჩენს იმ ქალაქს, რომელსაც
არც ჯვალო უხდება, არც ტყავი ძვირფასი?

დიონისე
1460 შენაც მოიფიქრე, თუ გინდა წამოსვლა.

ესქილე
მე იქ კი ვიტყვოდი, აქ არ მსურს რატომღაც.

დიონისე
არა, ჯერ აქედან ურჩიე რაიმე.

ესქილე
მტრის მიწა საკუთარ მიწად ჩაითვალოს,
ხოლო საკუთარი მტრის უნდა დაეთმოს.
1465 ხსნა ხომალდებშია და არა ხარჯებში.

დიონისე
მაინც მოსამართლე შეჭამს გადასახადს.

პლუტონი
რაო, გადაწყვიტე?

დიონისე
ასე მოვიქცევი:
„რომელიც გულს უნდა, მეც იმას ავირჩევ.“

ე ვ რ ი პ ი დ ე
გახსოვდეს ღმერთები, რომელთაც შეშფიცე,
1470 რომ შინ წამიყვანდი, მე ამომიჩიო!

დ ი ო ნ ი ს ე
„ენამ დაიფიცა...“ ესქილეს ავირჩევ.

ე ვ რ ი პ ი დ ე
კაცო საზიზღარო, ეს რა გააკეთე?!

დ ი ო ნ ი ს ე
რა და გამარჯვება ვუბოძე ესქილეს.

ე ვ რ ი პ ი დ ე
თავი მომჭერი და თვალბშიც მიყურებ?!

დ ი ო ნ ი ს ე
1475 მხარს მაყურებელიც არ გიჭერს, სომ ხედავ.

ე ვ რ ი პ ი დ ე
რა გელაპარაკო, გარდაცვლილს დამცინი.

დ ი ო ნ ი ს ე
„კინ იცის, სიცოცხლე იქნებ სიკვდილია“,
ნადილი — სადილი, ღვინო კი — ღვინო!

პ ლ უ ტ ო ნ ი
აბა, დიონისე, მემოდით!

დ ი ო ნ ი ს ე
რა ხდება?

პ ლ უ ტ ო ნ ი
1480 მე გიმასპინძლებით წასვლამდე.

დ ი ო ნ ი ს ე
კარგია!
ღმერთმანი, ეს საჟმე მე არ მეჯავრება.

შედიან პ ლ უ ტ ო ნ ი ს სახლში.

ე ქ ს ო დ ო ს ი

პ ი რ გ ე ლ ი ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი
სტრ არაერთგზის დავრწმუნდი, რომ
ბედნიერი მაშინ ხარ,
სრულყოფილი გონება
1485 თუ მუდმივად შენთან არის.
გონიერი კაცია, —
კვლავ მინახე დაბრუნდება,
გახარებს თავის ქალაქს,
მეგობრებს და ნათესავებს,
1490 რადგან შერწა ძველი სიბრძნე.

მ ე ო რ ე ნ ა ხ ე ვ ა რ გ უ ნ დ ი
ანტ კარგია, რომ სოკრატესთან
არ დაჯდები სალაგბოდ,

მეზებს არ მიატოვებ,
არ უარყოფ არასდროს
1495 ტრაგედიის ნაწილებს.
ხოლო მაღალფარდოვანი
სიტყვიერი სიციბიერით
დროის კარგვა არის საქმე
ჭკუანადრძობ კაცისა.
სახლიდან გამოდიან პ ლ უ ტ ო ნ ი,
დ ი ო ნ ი ს ე და ე ს ქ ი ლ ე.

პ ლ უ ტ ო ნ ი
1500 მაშ, გაიხარე, ესქილე, ნადი
და დაიხსენი ჩვენი ქალაქი.
კარგად დამოდღერე, ბრძნულად აღზარდე
უგუნურები. — ბლომად არიან.
(ხანჯალს აძლევს)
ჩემგან კლეოფონტს ეს გადაეცო,
(თოკი გადასცემს)
1505 ეს მიუტანე გადასაჩადის
ამკრეფ მორმეტსასა და ნიკომახეს.
(საწამლაკიან ჯამს აძლევს)
ეს — არქენომეს. მაგათ ღთხარი,
მაღე შესტუმრონ, ჩემთან ჩამოსვლას
ნუ აყოვნებენ. თუკი სასწრაფოდ
1510 არ მენევეიან, აპოლონს ვფიცავ,
უშალ დაეშანთავ; მერმე მივაკრავ
ადიმანტეს და ლევკოლოფესაც
და ჩამოვრეკავ სუყველას ქვევით.

ე ს ქ ი ლ ე
1515 ამას გპირდები. შენ ჩემი ტახტი
სოფოკლეს მიეც, რათა დიცივას
და შემინახოს, რადგან ოდესმე
დაგიბრუნდებით. ეგ მიმანია
სიბრძნით მეორედ. კარგად გახსოვდეს,
1520 ფრთხილად იყავით, რომ ის თლითი,
ის ცრუსიტყვა და მასხარა კაცი
არ დაეუფლოს ჩემს ტახტს მზაკვრულად
და თვითნებურად ზედ არ დასკუადეს.

პ ლ უ ტ ო ნ ი
აბა, ანთეი ნწინდა ლამპრები,
1525 მაღლა ასწიეთ, უკან მიჰყევით!
მოასმენინეთ პოეტს მისივე
სიმღერები და საგალობლები!

კ ო რ ი დ ე ო ს ი
ნიაღის უფალო, ჩვენს პოეტს უსურვეთ
კეთილი მგზავრობა!
გზები დაულოცეთ, რომელთაც მიაღწევს
სინათლის ქვეყანას.

1530 ჩვენს ქალაქს ვუსურვებთ სიკეთეს,
სიხარულის და ბედნიერებას.
მაღე ყოველგვარი უბედურებისგან
გავთავისუფლებით,
მაღე გადავრჩებით სამხედრო ზეგარას!
ხოლო კლეოფონტმა
და სხვებმაც, ვისაც სურს, საკუთარ
სამშობლოს მინდვრებში იბრძოლოს!

კომიტეტის წევრი

სტრ. 13-14. ფრინიქე, ლიკისი, ამიფსია — კომუნიკაციების პოტენცი, არისტოკრატიის მემკვიდრეები და თანამედროვეები.

სტრ. 22, მიიზნება სტამბონიზე, თიხის ან ლითონის ნაგრძელებულ ვიწროყელიან ქურცელზე, რომელიც თირითადად ღვინისთვის გამოყენებოდა; ს ტ ა მ ნ ი ო ს ი ს ძ ე დღეობისა და თუატრის ღმერთი დიონისე მოხსენიებულია ზუმრობით, "ზევსის ძის" ნაც-
ნაჲაჲ.

სტრ. 55. მ ო ლ ო ნ ი, ევრიპიდეს პროტაგონისტი (მთავარი როლები შემსრულებელი), სქოლიასტის სიტყვით, გოლიათური აღნაგობისა ყოფილა.

სტრ. 158. ზიარებულიები ანუ მისტები — ელევ-
სინის მისტერიების მონაწილენი (მისტერიები იმარ-
თებოდა დეჰეტრესა და პერსეფონეს საპატივცემუ-
ლოდ).

სტრ. 215. ნი ს ე უ რ ი ღ ვ თ ა ე ბ ა — გადმოცემის თა-
ნახმად, დიონისე დაიბადა და აღიზარდა ნისაზე (მთაა
თრაკიაში; მდრ., ჰომიროსი. „ილიადა“ VI სტრ. 133)

სტრ. 293, ე მ კ უ ს ა — მრავალსახოვანი ურჩხული;
ბერძნული ზღაპრები მას მიიჩნევენ სისხლიან ვამ-
პირად, რომელიც ადამიანთა დასამინებლად გამოგ-
ზავნა ჰეკატეძ.

სტრ. 316. იაკკოსი — ღვთაება, რომელშიც პერსონი-
ფიციურებული იყო დიონისური მსვლელობა; პროცე-
სია აგორადან გადიოდა და მიმართებოდა ელევსი-
ნისკენ, სადაც სალამოსთვის ჭადიდა; ამ ღმრის-
თვის უფრო ადრის ანთიპოლი სპირია ჩირქოტანი

სტრ. 470-471. სტიქსი და კოკიტოსი — საიქიოს მდინარეები.

სტრ. 473. ე ქ ი დ ნ ა — ზღაპრული ნახევრადდიაც-ნახევრადგველი, კერბეროსისა და სხვა ურჩხულთა მშობელი.

სტრ. 549 და შმდგ. ბერძენთა საყვარელი გმირი **ჰერაკლე ცნობილი იყო, როგორც დიდი გურმანი და ღორმუცელა.**

სტრ. 713. კ ი მ ო ლ ო ს შ ი (კიკლადების ერთ-ერთი კუნძული იყო) მოიპოვებოდა ნატრიუმით მდიდარი თუთქი, რომელსაც ბერძნები საშნის ნაცვლად ხმარობდნენ.

სტრ. 792. ჯ დ მ ა ს ე ფ ე დ რ ო ს ა დ („ეფედროსი“, „გვერდითი, განზე“) ... — ეფედროსად იწოდებოდა პარტიზონი, რომელსაც სპორტული ასპარეზობაში მონაწილეობა ეცემა რიცხვების გამო ორთაბრძოლა არ მოეწონა და ამიტომ მთელი ტურნირის განმავლობაში სეპარტე იჯდა, რათა ფინალში შემოინახული ძალე-ბით შეაღებინა ბრძოლა და დაეპყრობა.

სტრ. 807. მიიწმენდა ვერსიაზე, რომლის თანახმადაც სიცოცხლის ბოლოს ესტილეს განზეთელება მოუხდა ათენელებთან და სიცოცხლეც აკავეზა; აქვე, ქალაქ გელაში გარდაიცვალა იგი 456 წელს.

სტრ. 847. შავი ფერის მსხვერპლს მიწის წიაღის ღმერთებს წირაუდნენ.

სტრ. 850, ეერიძედეს ტრაგედია „ეოლოსში“ აღწერილი იყო ინცესტი: ძმა დის სარეცელს იზიარებდა.

სტრ. 946-947. ევრიპიდეს ტრაგედიები, როგორც ნესი, ასე იწეობდა: გმირი გამოსვლისთანავე ამბობს, თუ ვინ არის იგი და სად ხდება მოქმედება. შდრ. „ჰეკაბე“, „ფოინიკიელი ქალები“, „მავკერებლები“, „იონი-ტრე“, „ფოთიონის ჭაბურღიში“ და სხვა.

სტრ. 1021-1025. იგულისხმება ესქილეს ტრაგედია „მედი-
ნი თებეს წინააღმდეგ“ („მედიტა ლაშქრობა თებე-
ზე“), რომელიც ძველ დროში განთქმული იყო, რო-

გორკი უზრუნველავს ნიშნულ საბრძოლო პოზიციას და პატრონიზმისა; მელიოპრესის ომში თქვენი ათენის მონიანიდგეგმვა ბანას ეკუთვნოდა. მისი რ. ს. ე. ბ. უსკოლს მიუძღვნა ათენისა და სპარტის საღამომი მოპოვებულ გამარჯვებას; მოქმედებები ხდებოდა არა გამარჯვებულ საბრძოლო, არამედ დამარცხებულ საპრესიო.

[illegible]

სტრ. 1378. მიწლი შემდგომი სცენა ავებულია მეტაფორის რეალიზაციის მიტად თავისებურ პოეტურ ხერხზე. პოეტები „წონიან“ ლექსებს და სტროფებს „სიმიშის“, ე.ი. მნიშვნელობის მიხედვით, ქვემოცტირებულია სტროფები ვერძიძესა და ესკალეს სხვადასხვა ტრაველიდან: სტრ. 1382 – ვერძიძეს „მედებს“ დასაწყისი; სტრ. 1383 – ესკალეს „ფილოტეტედიანს“; სტრ. 1402 – ვერძიძეს „მელოარტან“. სტრ. 1403 – ესკალეს „მალაიდი“.

სტრ. 1400. ძველი ბერძნები სამი კამათლით თამაშობდნენ.

სტრ. 1422. ა ლ კ ი ბ ა დ ე — ათენის პოლიტიკურ მოღვაწე, თავისი გეგმებითი და მსოფლიურ დონის ერთ-ერთი ყველაზე უფრო კოორდინირებული გეგმური, ბრწყინვალე მხედარი მთავარი, რომელიც არა-ერთი ზოგის იკვლევდა პოლიტიკურ პოზიციას. მიატო-ვათენი და მტრის მხარეს გადავიდა, იბრძოლა სპარ-ტაქტელებთან ერთად; კვლავ დაბრუნდა ათენისში „ხა-ყასების“ დათამაშებლად მთავარი სტიმული და მოს-...

სტრ. 1463-1465. ესქივლი მიიგრებს პერიოდის ანდერსონის რომელიმე ნაქვემდებარე იყო, რომ ათენებელმა ჟურნალისტმა და უნდა მიაციკონ მტრის მიერ ატიკის აოხრება და თავად უნდა გააგრძელოს პელოპონესისს იავერქმეზა: რადგან სპარტელეონისთვის მინა ყველაფერი, ხოლო ათენებელს ნრნება ძალაუფლების ზღვაზე. ესქივლს უნდა თქვას, რომ ათენის სიმდიდრის წყარო ზეგაზე ბატონობაა, ათენის დარბაზთა დიქის, მოსამართლეობა და ა.შ. ფულის დარიცხვს უსარგებლო და გაუმართლებელი ხარკია, რაც ხელს უშლის ფლორისა ადგენას და აძლიერებს.

სტრ. 1471. ყ ვ ა მ დ ა ი გ ი ც ა — ევრიბიდეუს პაროდია. როგორც ნესი, „ბაყყებში“ ევრიბიდეუს „ლეთის-მგებოზ“ და „უზნეო“ გამოჩინაქვეყმეზი საბოლოოთ ბუმერანგიოთ მასვე უბრუნდებო და მასვე აზიანებს აზი.

სტრ. 1491. კომედიის დასასრულზე სოკრატეს ხსენება კრავს ადრევე დასახულ კენახს, რომელსაც ხსნის ერთი მხრივ, რაციონალისტური პოეზიის მეტაქმედი, აქედნის ფილოსოფოსი¹ ვერნიმედ და, მეორე მხრივ, რაციონალისტური ფილოსოფიის ფუძემდებელი, ახტეფორა სამყაროს ყველაზე უფრო კლონ-რეტული ფიჯურა. ს. კ. რ. ა. ბ. ა.

სტრ. 1528 და შმდგ. დაწერილია ესქილეს სტილში; შესაძლოა, რაღაც ნაწილი აღებულიც იყოს ესქილეს შემოქმედებიდან.

მალხაზ ხარბედი

რებლეს ხუთნიგნეული



ამ წიგნის რანაირი გამოცემა არ მინახავს და ნამოკითხავს. ზოგი ისეთი თხელი მასსოვს, გვერდება, მარტო პური და ყველი გამოეტანოს რაბლეს თავის სუფრაზე. ძირითადად ქართულად და რუსულად კეთილშობილი ნაწილებს, ნაჭრებს (ბარკალს, წინამზარს, ჩალაფრს, უმზურს, სუკებს, არტალას), სანამ ბოლოს ორივე ენაზე არ ჩავიგდებ სრული ხუთწიგნეული და მიყოლებით არ გავძიმება საუბრე-სადილ-სამზარ-ვახშამ-გვერდ სუსნაობასა, ხემს-სალათ-წვინარ-თავიკრძ-დეგრტია-ნად. მუდმივად შთაბეჭდილებებში ვიყავი ამ წიგნისგან, მაგრამ სულ სხვაა, როცა ერთიანად, უსასრულო რიგად მოდის შენაძნის უზარმაზარი, ძლიერად ნაკმაზი კერძთა კრებული.

იწყებ კითხვას და ჯერ ტალღებდა აღწევს ტექსტი შენაძნად, თავიდან მომზადებული ხარ, როგორც მკითხველი და რაბლეც თითქმის თავს იზოგავს, მაგრამ შეტოვებ თურა, მაშინვე ენის, მეტყველებისად გასტრონომიის მდორე ნაკადში აღმოჩნდები, სადაც ცურვის ცოდნაზე მეტად მოთმინება, სიებს მიდევნება, რიგში დგომა, ნერწყვის მარაგი და სიამოვნების გამოზოგვა დაგვირდება. უცებ შეიძლება მოგებზრდეს. ამ დროს აუცილებლად უნდა გადაღო წიგნი, ცოტა ხნით მაინც.

„სახელმორჩმელნი შემთერალებნი“, ასე მოგვმართავს ავტორი, რომელიც ხანდახან პირდაპირ თავში გვიტყვამს, გვათრებს, უფიქვლ ჩაფიქვლი სამი ქაქასავით. იგი ზოგჯერ დამლუღელიცაა. ნარმოცივინთ, პედონისტი სიზიფე, რომელიც შუჩერებლად ხლართავს სიტყვებს, ცნებებს, წინადადებებს, კერძებს, ზემოთებს, ადის და ადის აღმართზე, სულმოუთქმელად. არ გასვენებს. მხოლოდ რამდენიმე წიგნის ჩამოთვლა შემოიღია, სადაც ამდენ დასამახსოვრებელ, გასაფანქრ, ხაზგასასმელ სიტყვას, ცნებას, გამონათქვამს და ამბავს ვიპოვით. ამათგან ზოგი გამოგონილია, სხვები კი დროსა და სივრცეში ამოთხრილი, გადაფეცილი, ხელახლა ნაკითხული, ნაპერტნეტირები - წინადადებები და აბზაცები, ფრაზები, მთელი თავები, საიდანაც სიტყვის გამოტოვებაც კი არ შეიძლება. აქ რაბლე მარტო არაა რა თქმა უნდა. აქ გურამ გოგიაშვილიცაა, მთარგმნელი, ვინც რაბლეს ეგვიპტურბა, ეპექრება და ბოლომდე ურავს, ქაჯავს მის დურდოს. ანდა არა, პირიქით, წვინანი, გაჯერებული დურდო მოაქვს ავტორისგან და ცდილობს ახალი, ძლიერი რამ გამოხადოს მისგან.

რაბლეს წიგნის კითხვისას აზარტი მოდის და მოდის, ნაყოფიანების მოუხედავად კი, მადა უფრო და უფრო იღვიძებს. ეს წიგნი გვარწმუნებს, რომ ნებისმიერი გამოსავალი არსებობს ქართულ ენაში, და რომ მითია, შეცდომაა ქართული ენის მოუქნელობაზე წუნსუნი და ვაება.

ენა, ლექსიკა აქ იმდენად მძიმეწონიანი და მნიშვნელოვანია, იმხელაზე იზრდება და ისეთ ფორმებს იღებს, რომ სიუჟეტს, მოვლენებს ფრავს და ხანდახან გაიგონებდა კიდევ რა მოხდა, არ მომეღო თავზე ვართ. წინმსწინები თბრობა, რეტროსპექცია თუ მიმდინარე ამბების აღწერა, მთელი ყურადღება და სიამოვნება მაინც ენას მიაქვს. მათ შორის შემოიღო, მისაბოლ, თხილად დაჭრილ ენასაც.

ზემოთ გურამ გოგიაშვილის *წიგნის ნაწილაკი* ვიხი რაბლე შექმნა და აქვე უნდა დაგვიჩვენოს ლეს კიდევ ერთი მესაიდუმლე, მისაბოლ ხაბტინი და დიდი ადგილი დაეთმო რაბლეზიარს ნადიშის მნიშვნელობას თავის დიდ წიგნში *Творчество Фрасы Рабле и народная культура средневековой Ренессанса*. იგი პირველ რიგში ხაზს უსვამს, რა რაბლესთან არ უნდა ვეძებთ სადავო დღეებს, გველურბრივი, მოსაბეზრებელი, კერძო-ყოფი საკვები და პურისჭამა, ინდივიდების სადღესამშობი. ეს სახალხო-სადღესასწაულო ნადიშა და ნაყოფიერებისა და ქართო-სახალხოობის ტენდენცია საფუძვლიანია გაერეული. ამ საფუძვლის დასაბრებით ამოდიან რომანის სახეები, იზრდებიან, სუდებიან, ფუფუდებიან, სუქდებიან, ცომივით გაბადიან და ყველაფერს მოიცავენ, ყველაზე აღწევს დაახლოებით ის, როგორც ერთხელ, ბავშვობის შეიღწა ყველგან ჩემს იმედზე, თვალ-ყურის სდევენება დატოვებულმა პასკის ცომა. ამ ცომა დატბარა სრულიად სამწარეული და გაცხადრი რიგაფხასავით განირთხა სხვა ოთახებისკენ.

ბატინი ნადიშის ტრადიციულ გაცემაზეც არ ერთხელ საუბრობს და მას ყოველთვის უკავშირებს სიტყვას, ბრძნულ სიტყვას, მაგრამ რაბლესთან პლატონის ან ქსენოფონტის ან პლუტარქის სიმამრებისგან განსხვავებით, მხოლოდ სიბრძნე მხოლოდ ქვემარტებდა. ზღვარგადასული, თავსუფალი აზროვნება. აქ ადამიანი სამყაროს ქაქდევს და ყლაპავს მას. იგი ბოლომდე გროსის სამყაროს გემოს, ალიქვას მას, უშვებს თავის სულებში, გზას უსწრის თავისკენ, თავისი არსების წილიად აქცევს მას, ინელებს. სამყაროსთან მტკერი ურთიერთობა, ქაქით ურთიერთობა, მთაწარელი და სპეიში. აქ ადამიანი სამყაროზე გამარჯვებას ზეიმობს. ბატინი ხაზს უსვამს, სამყარო კიარ ყლაპავს ადამიანს, არამედ პირიქით, ადამიანი, გამარჯვებული, მშრომელი ადამიანი ქაქს სამყაროს.

ქაქა ყოველთვის შრომასთან იყო დაკავშირებული ხალხურ კულტურაში. ქაქა იყო შრომის გვიგინი, ბრძოლის, მინასთან, ქვეყნიერებასთან და პირისპირების გვიგინი. შრომა ქაქამა ზეიმობდა, ზეიმობდა გამარჯვებას და სწორედ ამიტომაც მას სახალხო კულტურაში სედილობა, მოწყვლილება მას-სამ არსებობს. აქ არც სიკვდილია საბოლოო დასასრული. სიკვდილს კიდევ რადიკალები მოსდევს და პირველ რიგში ეს რადიკა ისევ ქაქა-სამა, აღაპი, იგივე ქელეხი. სიკვდილის ნადიში.

პური და ღვინო ბატინის რაბლესთან ყველაწიარ მიშს აქარეებს და აქრობს. არანაირი მოწყობა და ფარისეველობა. პურითა და ღვინოთ იწყებს უშიშრობა ქვემარტების პატრონობა. ამ დროს უკვე ყველაფერზე შეიძლება ზუშრობა (მაგ. გვიანი ზღაპრული უშიშრობის ერთ-ერთი ტექსტის მიხედვით მატყარი თურქი შეცდამა საქციფოდ ამაღლდა, მისიზრეული პეტრე მოციქული ყოფილა, ღვინის მწდმერიქივე კი იოანე ნათლისმცემელი). აქ დროსადღესასწაულო ხმა ყოველთვის მომავალზე ჯპარაკობს. მომავლის ენით. ზოგიერთი ძველი ჟტორი სუფრულ ლიბერტინობას უწოდებდა ამას.

ასეუმა გაგებამ ბევრ რამეს მისცა დასაბამი ევროპაში.

გარდა ამისა, რაზმებს წინგაზამთრის გვირობების, ჭამის თავგადასაღებების წინგაზამთრის უწოდებენ. იგი ხაზესა ბოთლითა ბზრიალით, ფრთა-კურტუბ-ბარ-კალით ტრიალით, ხაზმის-საწმენდისა წერალოთ. რა-ნაირ კერძს არ შეზღუდებით აქ, ნედლს, შემწვარს, მხოთმულს, გამოყვანილს, ნაბაბურმებს, ბოს-კეფულისას, ხორცისას, თევზისას თუ ცომეული-სა.

მაგ. გრანგუზიეს, გარგანტუას მამას ლეონოზე პარილიანის მიყოლებდა უცხოელი, ამიტომ მუდამ ჰქონდა ნაირნაირი შპანი, მათ შორის პირველი რიგ შემთხვევაში და ბაიონური, ბოლში გაბრწყინილი ხარის ენა, ყალბები, გოდბოში (წამატებული კურონის მებანური, მიდი და გაიფი რას ნიშნავს), სხვადასხვა ფეხებული და მართლაც ჩადებული ძროხის ხორცი თვისი მდოგვიანად. სიზილადა და კუპატი - ბიგორული, ლინგონური, ბრენილი და ბრერგული. აქ წასუქი ხატის ადგილი შამფურსება, შემოაქვთ ანთინური ბაჭაპურიც. სულრები იშლება შემონარულბობისათ - ქურციკი, ტახი, მტრედი, ბოცყერი, კურდღელი, ინდაური, საუკეთესო გუჯაბით (ფარში, ფალსარაბი) დატყინი.

გრანფუზიისეუ ბრძანებით პირველი წიგნის 37-ე თავში მითითური პურ-მარილი იმდებოდა, სადღაც ვახსოვდათნის წყავი: თექვსმეტ ბარს, სამ დეკულს, ოცდათორმეტ მოწვეს, სამოცდსამეც ციკანას, ოთხმოცდათხუტმეტ ქედილას, სამას ტუტუს გოქს თავის ტყემლის საწვლით, ორას ოც გროლს, შვიდას ცხრატიკვას, ოთხას ლუდენურ და კორნუ-ბლურ ყვერულს, ექვს ათას ვირიას და ამდენივე მჭრედს, ექვსას ჟრუნს, ათას ორას ჯერდელულს, ნაწარმოვიდან კი - თერთმეტ ტახს, თერამეტ დათვს, ას ორმოც სოხობს და ნაირ-ნაირ ქედან-ფლანინ-გოდოაჯ-ყარყატებს.

მეოთხე ნიგნის ორმოცდამეცხრამეტე თავში

რამდენიმე გვერდზე გრძელდება ჩამონათვალი, მაგრამ გავსტროლოგატრების შესანიშნავი, რომელსაც თაიანთ აყოლა დამოუკლემქმდე დღეროს სწორადვენ და საიდნაც გამოხშირვით დაგიმომმებ რანდენიქერქს: შემწვარი ხბოს ბეჭი ცივად, ჯანჯაფილმოყრილი, დომხლის შეჭამანი, კოტრანა, ანუ ნიგეჩითა და ძმრით შეზავებული მოზარშული კომპოსტო, გულ-ღვიძლის ძეხვი, ცხრა მთავლეულებული, ღორის სუკი პარდიანი, ტვიხის ძეხვი, ნანადირევის დამარილებული ხორცი თაღვამით, ნიორნელიანი ცხერის ბეჭი, ცხელსანეღლიანი პაპტეტი, ისრბის ნეენში ანოვლებული ბურჯაკის ბორცი, პრასიანი ხელის ქათამი, კაპარაინი ცხერის ბეჭი, ცხრაფურცელა ღვეზელგბი, თექსსენტიარი საქაპური და ფრლოვანი, კომშიანი ღვეზელგბი, ოცნარი ტკბილ ნაქცხარი. აქვეა ჩამოთვლილი ურიცხვი თევზეული, ხორცეული და ბოსტნეული, ანანიარი ხალათა და ტაბუცური: წინმატის, სვიის, ზღვის ბალახის, გარდამრისასი (გებური ანწლის ძირას რომ იზრდება), სატყურის, ცხრატყავასი. დამარილებულ გველსეუზაზე რას იტყვი? თეთრ ღვინოში ჩაწყობილ საღამურა თევზზე? ასევე ხამსა, სარდინი, ქაშპი, ნევრა, სკაროსი, მელანთეზა, ქამბალა და მრავალი სხვა.

მარტო კვერცხისგან მომზადებულ ათზე მეტ კერძს შეხედვითაც - ნოჟო, ანუ თოხლო კვერცხი; შემწვარი, რძიანი, ჩახლილი, სქელი ერბო-კვერცხი (ანუ სირეცა), წირივცა (კვერცხით მოწყობილი და ერბოში მოხრატა; ალბი შირი). ყიფლიყო, დოვზიჭი...

ბოლოს ჩართვის დროც დგება: ნაყინი, კაკუ-
სანუნკარი (!!!), ნუშის რძე, თაბასარა (დამოგუ-
ლი მხალი), უნაბი, მარილიანი ბუსტული, გორგო-
მიჭალა, ხატრუკი (მიხარშული ნივთი), ოჯონჯა-
ბი (წყალზე გაყინილი ნივთის გული), ბატიბუტ-ბა-
ტილა, ლეღვი...

მეზუთე ნიგნში, 23-ე თავში აღწერილია ხელ-
მწიფა-დედოფალის გახშამი. სიმართლე ითქვას, იგი

არც არაფერს მიირთმევს ვარდა ამბროზიასა და ნექტარისა, სამაგვიროდ სხვებს უშვებდრეს პურმანოვს უტლის, ერთმანეთზე უკეთესი და გემოიანი ნუგბართა და საკბილო-სასუსნავით. ნადიროს და-სასრულს კი, როცა აღარავის აქვს ჭაბის თავი, კიდევ არაერთი კერძი შემოაქვთ - მწვად-ხაშლამით დანეგებულ, კეცეულ-ყველეულით გაგარძელებული და ცომში შეწვარი პამპუტით დამთავრებული (ქოთანში).

ამ თავს ხალისიანი და ქეშმარიტად რაბლეზიანური დასასრული აქვს, სადაც აღწერილია, როგორ უღეჭებენ სხვები ხელმწიფა-დედოფალს საკვებს და როგორ აწვდიან მას პირდაპირ კუჭში:

„ის მამაცხონებული არცრასა ღეჭავდა, იმად კიარა, რომ კბილი არ ესხდნენ კარგნი და მაგარნი, ანდა იმად კიარა, რომ მორთმეულ საზრდელ-საჭმელსა ღეჭვა არ უნდოდა. არა, ზნე-ჩვეულებად მოსდებოდა აგრე. საქმელსა წინაპირველად პრე-გუსტნი სინჯავდნენ გემოთი, მერმე მასტერნი იგე-მოვნებდნენ და მოხდენილად ღეჭავდნენ, ხაზა სუყე-ელსა პირისფერი ატლასის სარჩულიანი შქონდა, ოქროთი მიმოძარეულნი, კბილი კი ქათქათა სპი-ლოს ძელისა, და რაც რამ დასალეჭი იყო, კარგად რომ დაღეჭავდნენ, უშალ ოქროს ძაძრსა რამეს მო-ივარცხდნენ და პირდაპირ ხელმწიფა-დედოფლი-სა კუჭსა შიგან უშვებდნენ უკვე კარგად დაღეჭილ-დაფქულ საქმელ-საზრდელსა. ამასობაში კიდევ ისიც შევიტყვეთ, რომ თურმე იმის მაგივრად ვინმე სხვა საკრავდა, სხვა გადიოდა ხოლმე კუჭში, ვი-საც დაავალებდა“.

აუცილებლად უნდა დავიგონოთ ბოლო ნიგნის 27-ე თავი, ჩირლათიანა, ანუ ხის ქერქის ქალა-მანთა კუნჭულისა და ძმთა ავაჯათა ორდენის შე-სახეზე. ჯერ ყველით იწყება ყველაფერი, მდოგვითა და ღორის ქადით გრძელდება (ანუ ველისა ყრდე-ლით) და შემდეგ დეტალურადაა ჩამოთვლილი შვი-დეულის ყოველი დღის საზრდო (კრცელ ციტატას ვერც აქ გადავურჩებთ):

„ტაბლა ამდგავარ-ესევითარი იცოდნენ: შვიდე-ულისა პირველ დღესა, ანუ კერისა, ძეგველსა მი-აძღებოდნენ, სისლიანსა, გულებიძისათა თუ ჯივი-რისისა, სოსის-კუპატსა, ქონჩატინლი ხბოს ხორ-ცსა, ღორისა ლეძლსა და მწვერთ (თავისთავად იგულისხმება ყველი მაღისა აღსაძერგელად და მდოგ-ვი ბოლოს დასაყოფებლად). შვიდეულის მეთრე დღესა, ორშაბათსა, ქონიან ბარდასა მიირთმევდნენ, ვრცელკომენტარდართლსა, რა არი ჩმუჩნა-ჩმუჩ-ნამი და ყბორვა-ყბორვამი სტრიქონად და სტრი-ქონს შუა ეკითხათ. შვიდეულის მეთხმედ დღესა, სამ-შაბათსა, ბლომად სეფისკერსა, ანუ დიდებულთა კვერისა, შფართხელსა, იგივე მცხვარსა მზიადსა, ხაჭმცხვარ-ღვეზელსა, ქადაბა, ნაზუქსა შეეცე-ოდნენ. შვიდეულის მეთრე დღესა, ოთხშაბათს, სოფელურ საქმელთ ეტანებოდნენ, სახედლობრ: ცხვრისა თავსა, ბზოს თავსა და მარცისა, ანუ თოფი-ხალისის თავსა, რომელით თოფიხალისთა აქა ბვერი იცის. შვიდეულის მეხუთე დღესა, ხუთშაბათსა, შვიდნიარი შეჭამანდისა ჭაზა უყვარდათ, შიგადა-შო კი უცვლელ-უცვლელად მდოგვსა ამუშინებ-დნენ პირთ. შვიდეულის მეექვსე დღესა, პარაკვე-

სა, არცრასა ეკარებოდნენ, თეინირ (ვირცელის) ისიც, ფერზედვე ეტყობოდა, ბოლან მწიფე არ-და ყოფილიყო. შვიდეულის, ანუ კვირისა მეშე-დე დღესა, შაბათსა, იდგნენ და ძეგლით ღვინდეს-რისა გამოც არცა გუნება-განწყობილება უფუჭე-ბოდათ და არცა კიდევ ჯანისა სიმორელსა რე-ბოდნენ, რამეთუ კუჭ-ნაწლავი შაბათობითაც ჩნე-ბულად უთბინინებდათ და უმზიარულეობითა.

რაბლეს ნიგნში გხვდება ზერელე, უფულო, სა-რალობელი სადილებიც. ვინმე გასაცოდებულად დედაბერი, მაგ. მწვანე კომბოსტოს შეჭამანდს ხარ-შავს და შიგ დამაძლებელი გლემურძი (ღორის ხორ-ცსა და ტყავისშუა მომსუქნი ადგილია) და ძელ-არტლის ნაჭერი უგდია. აქ ოცნებებიც ძირითა-დად გასტრონომიულ თემას უკავშირდება და და-ახლოებით ასე ჟღერს: „ღმერთო მაღალსო... სადღე-ერთ კარგ სამზარეულოში ამოვავაყოფენი თავი, მოგავიხილვინე, ვითარ ტრიალებენ შამფურნი, ვი-თარ გააქვს ტკაცატკუნი ნაფორკალ-სამუგავლე-სა, დავგანახე, ვითარ ტენიან კუპატსა, ვითარ კა-მავესა და ანელბენ შეჭამანდსა, ვითარ ამხადებენ ყითლას ჩასაკოკლოზინებელსა რასმე, ვითარი წე-სითა მიირთმევენ ღვინისა“.

თითოეული პერსონაჟის დახასიათებისას, უპრ-ველეს ყოვლისა ჭამის მადანზე, სისძა და მიყო-ბის ჩვეულებებზე და სხვა მუცელმდებრივებზე ანახილებს ავტორი ყურადღებას. მაგ. გარჯანტუ-ხორცს წელშიდან დროთა მიხედვით არჩევდა, გო-ანია ომონილი ნაჭერი რომელ სეზონზე უფრო გე-რილი იყო. მანამდე კი, ახალმოძილი ალუბალ-სა ცვლად ნუნუა-ნუნუა იძახის და ამ დაძახებულ-ავლურსინებენ კიდევ ყრმას ნუნუსა, დასამწვდებ-ლად. სხვათა შორის, მის გამოკვებას ათასი მწვერ-ლი ფური სჭირდება, რადგან მისი მეტეძური ბუნე-ბაში არ დაბადებულიყო ჯერ. ჭაჭანაურს, ანუ ღვი-ნოს მერცხე ბეგრს სვამს ჩვილი გარგანტუა და ძა-ლიან მოხონბს ჭიჭიბის ხმა, წკრილი, ჭახუნი. სმ-ხამლით უყვარდა, ხელსა შეჭამანდით იბანდა, წინ-ანს წყალს აყოლებდა, ჭას ჩაუფურთხებელს არ გა-უშვებდა... სადილზე ნაიკინდა და გახმანზე იტე-კნებოდა.

ახლა პანურგიც ენახოთ, ვისი შემოსვლა თუ შე-მოვარდნა დაუვიწყარია. იგი თავიდანვე სულ მო-შლელ და დაბურთულ ლაპარაკოს, ლაპარაკოს ყველა ენაზე, მათ შორის გამორჩილ ენებზეც. შე-დეგ რა თქმა უნდა უმასპინძლებიან, მაგრამ პა-ნურგი არ ჩერდება, მაინც ლაპარაკობს, თან ჭამს და თან ლაპარაკობს, ამბავს ყველა. იგი ბევრ რამეს ამბობს ჭამაზე, მაღიანობაზე, მარტვაზე, დიეტე-ზე, თან ამ ცოდნას საქმიითაც ამტკიცებს. მოგვი-ნებთ ძმა თანაც გამოჩნდება, ვინც მამფურთა ტრე-ალისა და ფრიკასეს პოროსკომის მიხედვით საზღვრავს რომელი საათია.

ერთი სცენაა, პანურგი თავმოყრილ ეპისტე-მონს უაქიძებს. ჯერ თავანკარა თეთრი ღვინით გა-ნუნანს კისერს მოკლულს, მოგვიანებით უცხო სა-კრებნებელ ფეხვლით მიყრის, მაღამოსაც მასცხვებ, ძარღვს ძარღვს მიბაძს, მყესს - მყესს და მალას - მალას და ბოლოს, როცა „ოპერაციას“ დაასრულებს, ერთ ჯამფილა თოფივით ღვინოს შეასმევს ეპისტე-



ბონს და ზედ ტკბილ ორცხოვნილას დააყოლებინებს. ზერე რა, რომ სამი კვირა ცოტას ხიზინებდა საიქი-
მოდ მოზრუნებული, ყელი ჩაბრინული ჰქონდა,
შეუღებებდა, მაგრამ იმიდენი სვა და ღლია, ბო-
ლოსა და ბოლოს ამანაც გაუარა".

ახლა სმას რაც შეეხება, ანუ, როგორც გურობ
გოგიაშვილი მოთარგმნის, ჩაღლებს. ამ წიგნის ერ-
თა ნახევარი თუ ჭამა, მეორე ნახევარი, რა თქმა
უნდა სმას, დაუღალავი, უსასრულო სმა, მწყურ-
ვალთა და გამარჯვებულთა სმა. სვამენ საუზმეზე,
ივამენ საყველანაშინდის, ასევე შუადღის ძილის შემ-
დეგ, შუადღის ძილამდე, ღამე, მოგზაურობისას,
შეგნებისას, საქმეში, უსაქმობისას, მოსაქმეობი-
სა. "რადა ჭამაურტა გვათავი, ადგებოდნენ და შუ-
ადღისათა ფათალოს ნობლითი დასურავდნენ, და-
სანაშინდებლად წყლიან კასრში გადაიდებდნენ,
მასუკან კი ძაბრიან-ყალფადიან გოზაურში ჩაუ-
ვებდნენ". დიერთსა თუ ადამიანებს, ყველას ევედ-
რებინა, *da mihi potum!* (მიმოძე დასალევს). მეტა-
ფორებიც აქვთ სმასთან დაკავშირებული. მაგ. პან-
ტაგრუელს დიფსოდთა, ანუ წყურვეულთა მეუფეს
წოდებდნენ. ღვინოსთან დაკავშირებით რადიც ცრურ-
მწერებსაც აღიარებენ, მაგ. რომ ზარის ხმაზე ღვი-
ნი ჭანჭდება".

მაგარი სმა მიდის პანტაგრუელთან თაუშასტის
სტუმრობისას. ამ სცენაში შეძახილებსაც შეხედე-
ბით, როგორც საცხად დღესაც ხშირად ეამბოთ ხოლ-
მე - "ყელი წუ გაგვიძრე!", "მოიტა, ბიჭო, მალე!",
"პაპოსი!". არის შედარებით იშვიათი გამოთქმე-
ბიც - მაგ. "დაგვანაფე ნაფასა!" სუფრის ბოლოს
როგორც ირკვევა, თითოეულს თავის წილად სულ
ცოტა 25-30 კასრი მაინც ჩაუსხამს სტომაქში და
"როგორა ღლეფდნენ, არ იკითხავთ? როგორა და,
Sicut terra sine aqua (ცივთარცა მინა ურწყული, რა-
მეთუ პაპანაქება იდგა და თანაცა მწყურვალება
ჰქლავდათ)".

პანურგი, რა თქმა უნდა, ერთ-ერთი ყველაზე
გამოცდილი და უძირო მამულია. გამოჩენის პირვე-
ლივე წუთებიდან საშინლად სწყურია, "ქემაყსაბერ
ხმელია" და ისე ისრუტავს ღვინოს, რომ ბოლოს
ცოტა მეტიც მოუფა ამდენი უსუნთქებელი, მოყუ-
დებული მისიგან. შენიშვნაზე კი ასეთ პასუხს იძლე-
ვა: "ბიჭმა იცის! შენა აქა, უკაცრული პასუხი, პა-
რიზონი ლოთ-მებრუენი არ გგონოთ, ნობლი-
საბერ რომა სვამენ და ზედ უფარ არ იყოს, ჭამად მა-
ნამ არ აღებენ პირსა, ხანამ უფარ არ მოყვრებიან".
პანურგს მუდამ თან აქვს (ღარათქმეს) მათარა და
ლოფიცხაური (შემგვარი ხმელი ხორცი) და ორივეს
თავის "ქემიკო, ანუ გვამისა მცველთ და თანამ-
ცურვალთ უბმობს".

ერთხელ პანურგი, როგორც გამოცდილი ღვინის
დიდოსტატს შეეფერება, ბონურ ღვინის ამოც-
ნოს (უფრო მარტივად რომ ვთქვათ, ბურგუნდი-
ულს, ახლა კარც დე ბონს რომ უხმობენ) და აღ-
ფრთოვანებული ამბობს, ვისაც დიდხანს სურს ამ
ღვინის დაჭამიკება-გემება, სულ ცოტა სამი წყრთა
სიგრისისა ყარყარა ყელი უნდა ჰქონდეს, ანდა სუ-
ლაც წეროს ყელით.

ერთი ამბავი უნდა დავუთმოთ ჭურჭელულსაც,
რითაც ეს ჩვენი გმირთა-გმირები ქეიფობენ. მათი

ჩამონათვალი არაერთხელ გვხვდება ნიჭიერ, ხე-
რად შეთანამშებენ ხოლმე ხელში ბრეტუნულად
ფილისა, კარახანას, ბადისა, ტარკოსს, ჭინჭილას და
სხვა სახმისებს. პაპურკის ორკულის თავში კი პო-
მეროსის ზომილდების ჩამონათვალით ვრცელი
სია მოდის ამ ჭურჭლისა: "ფაიფურის თასი, დონი-
ჯიანი, ბაზოფურიანი ოქროს სარქვან-დოქი, კათხა,
წერილი, ჭიჭმატა ზურმუხტით მოიჭვილი, ბარძი-
ში, აბანოზის, ანუ ეკალმუხისა ძაბრი, ოქროთი შემ-
კული, დამასკოური ჭედურისა დიდფასიანი ოქ-
როს სირჩა, იგივე ჭამაკი, ანუ კონჩა, ცეცხლში გა-
მოყვანილი ბაჯალლო ოქროს მამარაფა, კულა, ხმი-
ანი სასმელი" და სხვ.

რასა კვირველია, აქ სმას თავისი წესებიც აქვს,
მოუხდებდა იმისა, რომ ხშირად ბევრს და უნესოდ
სვამენ ხოლმე, როგორც რაბლეს საერო-სახალ-
ხო "ფილოსოფიას" შეეფერება. ერთ-ერთი წიგნის
შესავალში რაბლე ღვინის დაძალებზე წერს და ამ-
ბობს, რომ ძალისძალათი დაღვენიშა და კისერში
ჩასხმა უნაძობაა: "გვისაც არა სნადს, პირსაც წუ
დაადებს, ხოლო ვისაცა სნადს... დაენადოს... მე-
ძაბრის... არცა იფიქროთ, რომ ღვინო შემოგა-
ვლდებათ, როგორც გალიელის კანაში შემოაკლდათ
ქორწილის დღესა. თქვენ მოდით, რაოდენიცა შეიძ-
ლოთ, ისით და ისით, მე კი გისხამთ და გისხამთ,
მარადის ამოურწყავ, დაუმრეტელ უკვდავებისა წყა-
როდ ვაქცევ კასრს ჩემსა..."

ღვინოსთან აქ ყველა გამანაშურებელი, ზღვა-
ში შეიძლება უჭირდეთ, ვაჭაცობა დღლატობდეთ,
მაგრამ მარანში მედგარად დგანან: "მარანში, ანუ
საღვინე სახლსა შინ უნდა მნახოთ ვინცა ვარ!"

ყველაზე ხშირად, რა თქმა უნდა, თავისი მოზო-
ლიური მხარის ღვინოს ასხნებს რაბლე, შინონს,
რომელსაც მაშინაც და ახლაც, ძირითადად კაბერ-
ნე ფრანდიან აყენებენ. ჯიშებიდან კი, როგორც მო-
სალოდენთან ხოლმე ძველი დროის ვერობელ აგ-
ტიკეთთან, უფრო მეტად მალგაზის სცემენ პა-
ტივს. აშედეგების კუნძულზე, სადაც ხალხი სა-
სანახლოებში ცხოვრობს და სადაც მეტრ ყანსა და
პანურგს მალგაზიათი უმასპინძლებდნენ, ზედ მი-
ლანურ კუბატს აყოლებენ, ასევე შემწვარ-შებრა-
ნული ინდურნი, ყვერულნი, სავათნი და სხვა მა-
ზა-მანა საკბილო საშუქლავი, სულ უცხოოდ შექმა-
ზულ-შემზადებულნი".

მალგაზიზე კიდევ ერთი ამბავი უნდა მოყვე-
რებლე ერთ-ერთ თავში ინგლისის მეფის, ულუარდ
IV-ის ძმის, პერცოვ კლარენსის, ჯორჯ პლანტაგე-
ნეტის ამბავსაც ისხნებს, ვისაც მეფის წინააღმდეგ
ბოროტგანზახვა დაბრალდა და სასიკედილო გა-
ნაჩენის გამოტანის შემდეგ ნება დართეს თავად
აერჩია თუ როგორი სიკვდილი სურდა. მან მალგა-
ზიდან დანერგული თეთრი ღვინით სავსე კასრში
დახრჩობა აირჩია!

რომანში მევენახეობაზეც შეხედებით ცნობის
და მეღვინეობის წვრილმან საკითხებზეც. ერთგან
პანურგი წნების, საქაჯავის, წნერის მუშაობის პრინ-
ციპებსაც ეცნობა. იქვე საუბრობენ იმაზე, რომ ბა-
ბილოს (მალგარი ვაზის) ან უსურვაზის (ველური
ვაზის) ჭაჭანაურში (ღვინოში) არ უნდა აფურთოთ
ვენახის ღვინო, ოქროს სასმელი (ამის შესახებ ქარ-

თულ წყაროებშიც გვაქვს ცნობები). შემდეგ ვენახისკენაც გააზღვრეს სტუმრებს (სადეგუტების კუთხულზე ხდებდა ეს ამბავი, სადაც ეინმე ბოლოქა დახვდებოდა, „ქიანა-ჩახვთა მოსივლე-მკრეჭელი“) და ვენახის სახელებსაც ჩამოთვლილან - კერძოხლა, ცოხურა, სესხურა, საჩუქარა, ბეირა, კარისპირა, დორანა, ვასაველა, ფოსტურა, მწიროლა, დანაზოგურა, სასახლურა. სულ უზმარი სახელებია, ცინცხანა, ასერომი, თუკი გურამი გოგიაშვილისიფული ეს სახელებები მოგეწონათ, შეგიძლიათ რომელიმე უცნობ ჯიშს დაარქვათ კიდევ. გარდა ამისა, ბოცაბოთლის ტაძრისკენ გზის პირას მორხდილი ვენახია გაშენებული, როგორც ახლა იტყვიან, საკოლექციო ვენახი, რომელშიც ყოველგვარი ვაზი ხარობდა ნაირნაირი ღვინისთვის: ალღურული, ძალვაზიური, მუსკატი, ტაბიური, ბონური, მირგოსული, ორღუნური, შიკაფიფული, არზუა, კუსურა, ანუღური, გრაჰისა, კორსიკული, ვერონული და მრავალი სხვა.

სამწახლის ყველა ნაწილსაც თავისი სახელი აქვს ამ კუნთულზე, ბოლოქას საქმიანობის შესაფერისი: „სანახლისა ზრახნის დახლი ერევა; გეჯახა - ხარჯი; ქანჩა - საბრძანის; ღარსა - ნარჩი გადასახადი; მორგა-აღორჯასა - ფსავდაზღვდელი თამასუქნი; დგუშთ - დაბრუნებულნი სესხნი; წყეილ მილსა - გადახდევინებულნი თანხანი; მერეტგა-როფთ - საღდო; კოტა-სახელურთ - საბეგრე ნუსხა-სიანი; ტაბლაისანა-გირაგსა - ქვითარნი; გიდელთ - დამტკიცებულნი ფასდადებანი; გოდორთ - გადახდისა ბრძანებანი; ტეგანთ - რწმუნებანი; ძაბრსა - საბოლოო ანგარიშსწორება“.

ამ რომანში, როგორც გითხარი, დაღვეისთვის მეტი დამაჯერებლობის მოსანიჭებლად მთარგმნელი ხშირად იყენებს ზმნას „ჩაღღევა“, „ჩაღღელით“. ერთგან ასეთი ზღაპრული ფორმულაც კი გვხვდება: „ბევრი ღლიეს თუ ცოტა ღლიეს...“. ამ ფორმულაზე რაბლეს ორი ანდაზა გამახსენდა: „იძინ ვერ მოიღვინოსა, / ვინც არ შეჰხარის ღვინოსა“ (ეს პარაფრაზი სატირული დრამიდან, „კიკლინიდანა“ პერიფრაზი) და „თუ ღვინოა და ღლინა, / ამინდიც მოსანოია“.

ახალ ღვინოს ქართულ „გარგანტუა და პანტაგრულში“ „პირისა მჭიდარს“ უწოდებენ, და ამას გარდა კარგად ნაცნობ ქართულ გამოთქმებსაც შევვდებით აქ, თუნდაც ამას: „ღვინოს ჩადის გემო აქვს“. სხვათა შორის, პერსიანელები ხანდახან არაყსაც სვამდნენ, მხსენსა და ციოცელის ისე.

რა ამბავს არ შეხვდებით „გარგანტუა და პანტაგრულში“, დაუფერებელს, უცნაურს, სასაცილოს, სახარხაროს, განსაცვიფრებელს. მეორე ნიგონის ოცდამეჩვიდმეტე თავში მოთხრობილია ისტორია, რომელიც პარიზში, სადაც პტი შატლესთან მომხდარა. ერთი ეინმე მებარგული დელქანში ზედ მაყვალთან იღუპემოდან ცარიელ პურს, რადგან მწვადთან და კვამლით უფორ ეგებრივლებოდან ცარიელი პურის ღმურძელა. გამოიღა ამ ცარელა პურით ეს გაჭირვებული და წახვლა დააბარა, მედუქნემ კი მეუტყა, მწვადის სუნის საფასურიც გადამიხადეო, არა ვარ მოვალე ვიღაცა მებარგულები მწვადის სუნითა ვეგებო. მოკლედ დიდი ჩხუბი

ატყდება. უცებ გამოჩნდება ფრანგული მასხარა და უბედურის ერთი და მედუქნე მას მიმართავს, აჰა, მოდი სენიორ ჟოანო კოაზი და მან გადაგვიწვიტოს დავაო. სენიორ ჟოანო მბარგულეს ვერცხლის მონეტას დააბარობინებდა რაღაც მასხრული მანიპულაციების შემდეგ რამდენიმეჯერ მიაკავუნებს მაღალზე. ბოლის კი ვერ თბივთ ასწევს ამ ვერცხლის მონეტას და გამოაცხადებს: „სასამართლომ აღიარა, რომ ნებართვამ, პური მწვადისა სუნთან ერთად რომ მიიღო, სრულად გადაუხადა საფასური მედუქნეს მონეტისა წკრილობით“-ო. მომწონს ეს ისტორია, რომელიც სახეცვლილი გვხვდება სხვა კულტურებში და ტესტებშიც, რაბლემდეც და რაბლეს მერეც. თან ცხლზე მეტად სურნელის და მისი ეს შესჯერაზონის - კვამლისა და წკრილობის.

ცოცხე საუბრის და თქმის რაბლესიანური (და მისი ქართული შესატყვისი ტექსტის) გრამატიკა და მისი მეტყველების ნაწილები. ზმნები: ძვანარა, ზრავ, შექანქალა, ანუშუავეებს, მოიყარყარა, წიადლოსლენა, იმუქენა, მწერენა, ყბორავა, ღმურძელა, აყჭოებული (ტვინი) და მრავალი სხვა. აქვეა სხვა საყლოთ: ლოთ-მებრუფენი, წრუტები, თხლაზობა, ზრთაყლაპობა, წვერგაპურისნამცეცვიანებულბ, მუცელგახარებულ-დაზურგულ-დაზეილბ, გეტკინულ-გაჭიკნილბი და ნაყლაპ-გაჭყუილბი, ფტენიოები და მუცელლორები.

საკუთარი სახელები: ჰერცოგი და ჰამპურ გრაფი და ჯამლოკია, სენიორ და ზუნურავა, ცოკერა, ნატაშურა, პილო მღვარსელი, დოქტორ ღვთისმეტყველებისა ჰამატაკია, გაგლოკია, ჰამა, გაგასუნია, თხაცხეირა, დურგელა, ნამილოკი, ბერნარდ კანჭილაპია. გრანგუზიხე მესაჭმელ მზარეულების სახელებია: ხელეგია, ტვლეგია და ისტრასა ცხენიგია ღორს ააგებინებს „იხსურებს“ და სადაც უნამაცეს „მესაჭმელ-მზარეულს მიაფანებებს“, მთელი პირთა საძიებელია ამ ისტრასა მესანელე, ფეხისშმა, სათქველავა, ღორბაზარა, ვინეგრეტა, ჯამისძირა, ნაფიჯხარა, სასსლე, ხელგვიანა, ჩაშუშულა, ხავინა, ფრიკესე, ზესიკი, ქანქლე, კორმუცელა, თქვლივი, სვანუცელა, მუცელპურა, ცეცხლე, ავშუცელა, ცერაშუცელა, სეიდამქე, ქონი-ჰამია-ტლეკია-ლეჟია-ელამიცხია-ჭრია-თოხლია-ხოხინა და მრავალი სხვა. ჰამა, ქალიტეა, მწილი, კონახურა, ნაზუქი, ცომ-ცომი, წინამატურა, ტაბუტეა, ხრაკი, მორიკი, ნივლე მუჭუჭა, ბორციკეპე, ქვირითა, ლუკამაქვეშმოიგანა, ჭინჭარა, ჭაჭიგოდორი, მარანა, მუქთაყლაპია. ყველაზე რა ჩამოთვლის, მხოლოდ რაბლეს გზის დალოცვასათი სიტყვებს ვაგვისენებ: „ქველნი მთავარკონდაქარ-მზარეულ-მესაჭმელენი ესე, სულ დარჩეულნი, გონადნი, მოსატყუებელნი ღმირვლილნი, ციმბირ შევიდნენ ღორსა შიგან“.

ქართულ მითხვებს, რა თქმა უნდა, ბევრი სახელი მშობლიური ლიტერატურაიდანაც ეცნობა. მაგ. გიორგი შატბერაშვილის, რეზო ინანიშვილის, ნუგზარ შატბერას და სხვათა მითხვებებიდან - ჭაპურა, ბოლოქა და ა.შ..

სანამ სახელებს, ენასა და მეტყველებს ვუბ



რიალებო, ყველაზე მახვილი გამონათქვამებიც გა-
ვისხნოთ, რომელთა გრძელი რიგიც პორაციუსის
სიტყვებით იხსნება. იგი თავისუფალ თარგმანში ასე
ვლერს: „ვისაცა უსვამ ბევრიო, ვინ არ გამხდარა
წვერიო“. ასევე - „სიკვდილი ჩაველით ჯამშია, არ
შემოვუშვათ ჯანშია!“, „ღვინო, გენაცვალე, სულ
სახლში მიდის, ფეხსადგილისთვის სად არი!“, „ჩა-
საცეცხლაო თუ განყდა, მამულსაცა თვლი დაუდ-
გება და ნამუსსაცა“, „ზურგსა ცეცხლი ეცხუნება,
მუცელსა - ტაბლა, ზედ ჩაყრილი ჯამი და იმისი
ჯანი!“, „ცისკარი ჩახველებითაო, ვახშამი ჩახვე-
ებითაო“. ერთ-ერთ თავში პანტაგრული პეროი-
კის აწვება და ასეთ რამეს ბრძანებს: „ყოვლისა
უფრორე უმჯობესი ჩრდილი დროშისა, ოხშივარი
ცხენისა და ხშიერება აზურისა“, რაზეც ეპისტემო-
ნი „ჭანრაკულად ჩაიღიმოებს“ და წარსთევავს:
„ყოვლისა უფრორე უმჯობესი ჩრდილი სამხარეუ-
ლოსია, ოხშივარი დედოპურისა და ხშიერება სამ-
ნდურ-ფილ-ჯამისა“. აქვეა ჩასაფრებული პანურ-
კის სიტყვაც, რომელიც მზადაა გადაფაროს წინა
გამომსვლელების ნატვრანი: „ყოვლისა უფრორე
უმჯობესი ჩრდილი მიიგდანისა, ანუ საწოლისა
ფარდისა, ოხშივარი ღიაციხა ტუშ-მკერდისა და
ხშიერება ვაჟკაცისა მორ-დელაფურისა“.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ რაბლეს წიგნი გადაე-
სებულია ციტატებით, მინიმუმებით, კალამაზურე-

ბით, პერიფრაზებით და სხვა მრავალი მზაკვრო-
ბით. ავტორი დაუნახებლად იმონებს წინამორბე-
დებსა და თავის საყვარელ ძეგლ ავტორებს, რო-
მელთა ნაშრომებსაც, რა თქმა უნდა, თავის პერსო-
ნაჟებსაც ხშირად ჩაუგდებს ხოლმე ხელშიც და გა-
მონათქვამებშიც. ჯერ იყო და პირველ წიგნში გარ-
განტუსა დააზეპირებინა ანტიკური ავტორებისგან
გამოკრებილი გასტრონომიული თავები, პლინიუ-
სისა, ათენოსისა, დიოსკორიდოსისა, გალენოსი-
სა, პორფირიოსისა, ოპიანესი, პოლიბიოსისა, პე-
ლიოდორესი, არისტოტელესი, ელიანესი და სხვა-
თა. შემდეგ კი პანტაგრუელს ისეთი წიგნები შეაყ-
ვარა, რომელთაგან უმრავლესობა არც არსებულა
და მხოლოდ რაბლეს შინაონი გაბრუებულ გონე-
ბაში იშვეოდო: „აღმძვრელი ძალა ღვინისა“, „სა-
ბაბსუბაბი ყველიყამიობისა“, „სისხლიანი სხვაობს შე-
ჭამანდი შეჭამანდისაგან“, „ღორისა ქონისა ყბო-
რისათვის, სამ წიგნად“, „რაგვარ ვიგემოთ ხაჭიჭო-
რიანი თხისა ზორცი პაპისა თვეებში წინააღმდეგ
ეკლესიისგან აღკრძალვისა“, „ისხლიანი ძებვისა,
ანუ ჭიჭნაგურისა მომზადებისა ხერხათვის“, „ში-
განურისა ზინებულ თვისებათათვის“, „ჭამისა მემ-
დგომ მდოგვის დაყოვლისა გამო, თოთხმეტ წიგ-
ნად“, „თუ რაერთი მონაგი აქვთ ღვინისა ღვინისა
მეტყველებისა დოქტორობისა კანდიდატთ და კი-
დეგ მათ, ვინცა უკვე გავრტყა აღნიშნული ხარის-

გვერდები

ხი, რვა უაღრესად პიკანტურ წიგნად", „სამზარეულო-საბოლნოთა განმედიის ხერხთათვის“ და სხვ.

რაბლე ხშირად მიმართავს მკითხველს უშუალოდ და ხანდახან ამ მიმართულებაში დიდ ლიტერატურულ, ნარატოლოგიურ სიბრძნეებსაც გამოუჩენს ხოლმე. უნდა ვაღიარო, რასაც იგი შესავალში ამბობს თავის წიგნზე, ძალიან მომწონს და სანიმუშო ფორმულასავითაა ჩემთვის - ამ წიგნის წერას იმდენივე დრო შეევალი, რამდენიც ჭამა-სმასაო. სწორედ ეს არაა ამბის მოყოლა? ხშირად მინევს ხოლმე შესხენება საკუთარი თავისთვისაც და სხვებისთვისაც, რომ ასე ხდება ცხოვრების გაზანაღდოვება, თხრობით უკვდავებასთან მისვლა, რომელსაც აქ კიდევ ჭამა-სმა ემატება ამგებობა დაპურებას. შემდეგ, მეორე წიგნის დასრულებისას რაბლეს წამოცდება - „აქა ან ვასრულებ იმაზედ შეთხზულსა ამა პირველსა წიგნსა, რამეთუ ჭაჭანურმა თავისი მიყო, ცოტა თავი მტკივა“ - ი. მისავე ენაზე რომ ვთქვათ, ნასმურებს აქ ღვინით გაბრმავებლობაც ემატება, რაც მჭევრმეტყველებას დროებით აჩერებს და დასასრულის (თუნდაც დროებითი დასასრულის) განცდას ამძაფრებს. უსიტყვოდ.

მეოთხე წიგნის დასაწყისში მიმართავს რაბლე თავის მკითხველს: „კეთილნი კაცნი! სადა ხართ? ვერა გხედავთ. დამაცათ, ცხვირი სათვალთია შემაკაზმინეთო.“ დასაწყისის სიტყვები კია, მაგრამ წერილის დასასრულსაც შეიძლება მოუხდეს, რადგან ახლა მე ვუზივარ სათვალთო ცხვირშეკმაზულნი ამ


გვერდებს და დასასრულის გამოჩენას ვეცდებით, რის შემდეგაც აუცილებლად მოვიხსნი სათვალეს, რადგან მას მხოლოდ წერა-კითხვისას ვიყენებ, ჭამისას კი ხელს მიშლის - შეიძლება გაცხიმიანდეს ან პამიდვრის გახლეჩისას მისი უკვდავი ლავა შენურის და დაბინდოს მინები, შესაძლოა ხაშლამი ნისლაძე დაუზიანოს ფოკუსი ჩემს ასტიგმატურ ხედვას, მწვანის დაფერებამ კი ნვიმა მოიყვანოს, ყინული მოვიწინოს შუშას, ხოლო ხახვმა ცრემლი აღინოს მის მიღმა ჩასაფრებულ თვალებსა. პოდა მოვიხსნი ამ სათვალეს და დავასრულებ, თანაც ჭამის, წერისა და წაკითხვის ერთობის ნიშნად ერთ ეპიზოდს გავიხსენებ, როცა ყველაფრის დასასრულს ბაკბუკი ვერცხლის ყდაში ჩასმულ წიგნს წყალში ჩაუშვებს და იტყვის:

„თქვენებური ბრძენმსიტყველნი, მქადაგებელნი და სწავლულნი კარგ სიტყვათ ყურთაგან მიგართმევენებენ, ჩვენ კი ჩვენთა სწავლა-შეგონებათ პირდაპირ პირთაგან ვიფხევენებით. ამადაც არ გუზნებთ, ნაიკითხე თავი ესე-მეთქი, ნახე გლოსა ესე-მეთქი, მე გუზნებთ, გასინჯე თავი ესე-მეთქი, იგე მე გლოსა ესე მეთქი. ოდესღაც ერთმა ძველმა ოუღველმა წინასწარმეტყველმა მთელი ერთი წიგნი ფაშა და თხემიდან ვიდრე ტურფამდის სწავლული გახდა, შენ კი, ოდეს ამა წიგნსა იხმევ, თხემიდან ვიდრე ღვინამდის სწავლული გახდები. აბა, მე დაიღე ყბა!“



ლუკა ბაქანიძე

ბოგილა



- აბა... აბა თქვენ განყოფილება ბოგილა. - ტიპი ამბობს.

- რაის ბოგილა? - ლეონი ეკითხება.
- პატარა მდინარეა, - უხსნის ტიპი, - ხეობით ახვალთ წამში.

